140
1955/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო გამ.

ჟ ი ო ნ ე ლ ი

№ 4
აპრილი
1955

საბავშვო გამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი ბავშვებთან გორკაში

სურათი ა. სუვოროვასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ი ო ნ ე რ ი

№ 4

აპრილი, 1955 წ.

ВСЕГДА ГОТОВ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

წელიწადი XXIX

6904

ნიკოლოზ ვერეგინიკოვი

ვალოდია ულიანოვი*

(მოგონებანი ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე კოკუშკინოში)

საუბრები

ვალოდია, მე და ჩვენი ბიძაშვილი ხშირად გვიანობამდე დავსეირნობდით გზაზე, კოკუშკინოსა და თათრულ ჩერემშევოს შუა, და ათას რამეზე ვმსჯელობდით.

ერთი ჩვენგანი გაუჩერებლივ ლაქლაქებს; ვალოდია გვისმენს, თავისთვის სტვენს და მხოლოდ ხანდახან ჩაურთავს მოკლე, ენერგიულ შენიშვნას.

ერთხელ კითხვა წამოვუერით, რატომ აქვს ოქროს ასეთი ძალა და მნიშვნელობაო.

ბიძაშვილმა დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა (თუმცა უფრო ვრცლად, ვიდრე მე გადმოგცემთ):

— აი, ყველა რომ შეთანხმებულიყო და არაფრად ჩაეგდოთ ოქრო, უკეთ ვიცხოვრებდით.

ვალოდიამ სტვენა შეწყვიტა და მოუჭრა:

— თეატრში ყველა მაყურებელმა რომ ერთად ცხვირს დააცემინოს, მგონი, კედლებიც ჩამოინგრევა, მაგრამ შეიძლება კი ამის მოხერხება?

ასეთი მოკლე რეპლიკით ხშირად დაგვირღვევდა სიტყვამრავალ მსჯელობებს.

იმავე ზაფხულს ვალოდიამ მირჩია ბელინსკის, დობროლუბოვისა და პისარევის კრიტიკული ლიტერატურა წამეკითხა. უკანასკნელმა მართლაც ძალიან გამიტაცა, მაგრამ აკრძალული იყო და ადვილად ვერ ვშოულობდი.

ერთხელ ვთქვი, ვისმე ავტორიტეტად მიჩნევა საჭირო არ არის-მეთქი, და მაგალითად მოვიყვანე ჩემი ერთი ბიძაშვილი, რომელიც თავის უფროს ძმას დიდ თაყვანსა სცემდა.

ვალოდია არ დამეთანხმა, მტკიცება დამიწყო. ეს სწორი არ არის, ჩვენ თვითონ ჯერ ბევრი რამ არ ვიცით და თუ უფროსი ძმის ავტორიტეტს მაღლა დავაყენებთ, ამაში ცუდი არაფერიაო.

მეორეჯერ უკმაყოფილება გამოვთქვი ჩემი ძმის მიმართ, რომელიც ძველი ენების მასწავლებელი იყო, ასეთი მშრალი და მოსაწყენი სპეციალობა რად ამოირჩია-მეთქი.

ვალოდია აქაც ძალიან მოხერხებულად გამოესარჩლა საშას და მითხრა, სიმბირსკში ლათინური ენის გაკვეთილებს გვიკითხავდა და ძალიან საინტერესოც იყოო.

გიმნაზიის ამბები

ბევრს გვიამბობდა ვალოდია სხვა სიმბირსკელ მასწავლებლებზეც, მაგალითად, მათემატიკის მასწავლებელზე. „გაკვეთილი არა გცოდნია, ჩემო ძმაო! „ვისეირნებ სვიაგაზე, დოინჯს შემოვირტყამ [illegible] ეტყობა ასეა შენი საქმე, არა!“ — ეტყოდა [illegible] ბოლოს [illegible]ომაც გაკვეთილი არ იცოდა, და ამით [illegible] მდინარე [illegible]ვაზე და სიმბირსკის ბულვარებში [illegible]

[illegible] ბიბლიოთეკა ★ ★

* დასასრული. იხ. „პიონერი“ №№ 1, 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალოდია ფრანგულ და გერმანულ ენებს სწავლობდა, როგორც მიღებული იყო სიმბირსკის გიმნაზიაში, მაგრამ განსაცვიფრებელი მეხსიერების პატრონს ეს სრულიად არ უძნელდებოდა.

ილია ნიკოლოზის-ძე შიშობდა, ვაითუ ასეთი ბრწყინვალე ნიჭის მქონემ მუყაითობა ვერ გამოიმუშავოსო, და ამიტომ არათუ თვითონ ერიდებოდა ვალოდიას ქებას, „მეტისმეტი შექების“ უფლებას სხვებსაც არ აძლევდა.

ვალოდიამ ერთი ასეთი შემთხვევა მიამბო გიმნაზიის ცხოვრებიდან:

ახალი ენების გაკვეთილებზე ძირითად და პარალელურ კლასს აერთებდნენ და აი, ერთხელ, პარალელური კლასის პირველმა მოწაფემ (მგონი პიერომ) ვალოდიას თხოვა, გერმანული თარგმანის სიტყვები გადამაწერინეო.

— მერე, გადააწერინე? — ვეკითხები.

— ცხადია, გადავაწერინე... მაგრამ ეგ რა პირველი მოწაფეა!

— განა შენ არ გქონია შემთხვევა, რომ გაკვეთილი არ მოგემზადებინოს?

— არც მქონია და არც მექნება! — მომიჭრა ვალოდიამ.

მას საერთოდ ახასიათებდა ასეთი მოკლე და გადამჭრელი პასუხი.

ვალოდიამ ტრაბახი ამ ასაკშიაც კი არ იცოდა. გიმნაზიის პირველი კლასიდან მოყოლებული უკანასკნელამდე პირველი მოწაფე იყო და კლასიდან კლასში მუდამ პირველი ჯილდოთი გადადიოდა.

საგუბრის გარღვევა

ერთხელ, წვიმიან ამინდში, მე და ვალოდია ღამის ორ საათამდე საუბარს შევრჩით და მდინარეზე წავედით, რომ ძილის წინ პირი დაგვებანა. წვიმას გადაეღო, თენდებოდა.

საბანაოამდე ველარ მივედით — ბოგირი წყალს აეტივტივებინა.

მაშინვე მივხვდით, რომ გადაუღებელი წვიმების წყალობით გუბურა ადიდებულიყო.

საგუბრისაკენ გავქანდით.

შევხედეთ — წყალი უკვე გადმოთქრიალებს ზემოდან.

წინადადება მივეცი, საგუბარი გავხსნათ-მეთქი, მაგრამ ვალოდიამ მითხრა: არც თოკი გვაქვს, არც წერაქვი, არც ჯალამბარი და ამიტომ თავს ვერ გავართმევთ, ისევ მეწისქვილის გაღვიძება სჯობსო.

წისქვილის სარკმელზე ერთი ბრახუნი ავტეხეთ.

ნამძინარევი მეწისქვილე გარეთ გამოიჭრა და უიმედოდ გაასავსავა ხელები. შველა აღარ შეიძლებოდა.

არ გაუვლია ხუთ წუთს, რომ ჯერ სუსტი, თითქო გამაფრთხილებელი ტაკანი გაისმა, რომელსაც მალე მოჰყვა საშინელი გრუხუნი; წყლის უზარმაზარმა ტალღებმა გრიალით გადმოანგრია ხისა და მიწის სამაგრები და ოთხი მეტრის სიმაღლიდან ქვევით დაეშვა. გადმოვარდნილი წყლის მასა მთლად ნისლში იყო გახვეული.

დიდებული სურათი იყო!

ჩვენს თვალწინ სწრაფად დაიწრიტა გუბე, გაშიშვლდა უშნო, შლამიანი ნაპირები და ფსკერზე მარტო პატარა ღელეღა დარჩა.

— თითქოს ნახანძრალიაო... — შენიშნა ვალოდიამ.

მართლაც ასე იყო: როგორც ნახანძრალი ნაღვლიანად მოაგონებს კაცს ცოტა ხნის წინათ აქ წამოჭიმული სახლს, ისე დაცარიელებული გუბურაც მოგვაგონებდა წყლის ლამაზ სარკეს, მშვიდად მწოლიარეს მწვანე ნაპირების ჩარჩოში, რომლებიც ახლა გაშავებული, თითქოს გადამწვარი მოჩანდნენ... თუმცა საგუბრის გარღვევამ, ან როგორც კოკუშკინოში ამბობდნენ— „გუბურას უსინდისო გაპარვამ“ — მე და ვალოდიას შემდეგში ბევრი სიამოვნება მოგვანიჭა, როდესაც საგუბრის აღდგენას შეუდგნენ.

საგუბრის აღდგენა

საგუბრის აგება მძიმე სამუშაოა და დიდი დრო სჭირდება. პირველად ხიმინჯებს ჩაასობენ ხოლმე, პრიმიტიულად, ფიცარნაგიდან სპეციალური სახელურიანი კუნძების საშუალებით.

მუშები „დუბინუშკას“ მღეროდნენ, სიტყვებს დამწყები იგონებდა თავისებურად. ხშირად გვესმოდა ეხო გუნდად მოძახილისა:

ჩვენი ხიმინჯი მეჩიჩს დაესო,
ეჰ, აბა ვის ედარდება!...
მიდით,
ძმებო,
დაჰკა, დაარტყით!

საგუბრის აგება ყველას ყურადღებას იპყრობდა. ვალოდიასაც „დუბინუშკას“ გაგონებაზე არა ერთხელ მიუტოვებია დილის ჩაი და საგუბრისაკენ გაქცეულა; იქ მას ყველაფერი აინტერესებდა...

ხურო ლეონტი დარწმუნებით გაიძახოდა, ეს სამუშაო აგრე იოლი კი არაა, ხიმინჯები ურნალით უნდა ჩაირჭოს, ამის ნაცვლად კი კუნძებით ასობენ ფიცარნაგიდანო.

ვალოდიას შეკითხვაზე, ჯოჯონაქით აწეული კუნძი როგორ უნდა მოწყდეს ურნალს და ხიმინჯს დაეცესო, ლეონტი ყოვლად გრძელსა და აბნეულ განმარტებას იძლეოდა. ახსნა-განმარტებას გაუგებარი სიტყვით „ლეპორტით“ ამოლოვებდა (რასაც მუდამ მოქმედებით ბრუნვაში სვამდა).

მუშაობის დასახედად ჩერდებოდა ყანიდან მომავალი გუთნისდედა და თათრულ ჩერემიშევოდან ამობრუნებული მეღუმელე და მეთევზე კარპეი.

ვალოდია მას ტურგენევის ტიპს ეძახდა, ილია ნიკოლოზის-ძე კი — ფილოსოფოსს.

ეს იყო მაღალი, ხმელ-ხმელი, შავწვერა გლეხკაცი, ჭაღარაშერეული გრძელი ხვეული თმით, რომელზეც ნაზუქის მსგავსი მრგვალი შავი ნაბდის ქუდი მოეგდო.

საგუბართან შეეყოვნდებოდა ხოლმე ყმაწვილი ბიჭი კუზმაც, მეზობელ სოფელ ბუტირკიდან, რომელსაც მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული და მონადირე ძაღლი ვალეტკა ახლდა.

— ეტყობა, ვალეტკას არაფერს აჭმევ, კუზმა, — ესაყვედურებოდნენ კოკუშკინოელი გლეხის ქალები, — დაგიმშევია და ამიტომაც მუსრი გაგვივლო ქათმებს.

— ძაღლს რად უნდა ვაჭამო! — შეუბრუნებდა სიტყვას კუზმა, — თვითონ იშოვის.

და ვალეტკაც „შოულობდა“.

რა წამს ვალეტკას მიერ მიკვლეულ ფრინველს მოკლავდა, კუზმა იმავ წამს ასაღებად გაექანებოდა; თუ დაიგვიანებდა, ვალეტკა გააქროლებდა მოკლულ ფრინველს და მყისვე გადასანსლავდა.

შეხვედრა ყაზანში

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ვალოდიას ჩამოსვლა იმ წელს, როცა მეხუთე კლასში გადავიდა. მაშინ ისევ ყაზანში ვიყავით. გაზაფხულის მშვენიერ საღამოს გემით ჩამოვიდნენ დეიდა მაშა, ანა და ვალოდია.

ვალოდია აღელვებული იყო გემზე მგზავრობით, ან იქნებ ბრწყინვალედ ჩაბარებულ პირველ ზეპირ გამოცდებს ემოქმედა მასზე ასე (უმცროს კლასებში მხოლოდ წერაში იყო გამოცდები).

მან წინადადება მომცა, ქალაქში გავისეირნოთო. ჩვენც მაშინვე წამოვიხურეთ გიმნაზისტური პალტოები და გარეთ გავცვივდით. ქუჩაში რომ გავედით, შევამჩნიე, ვალოდიას პალტო უკუღმა წამოესხა.

— პალტო უკუღმა წამოგისხამს, ვალოდია, — ვუთხარი მე.

— შეხე, მართლაც აგრეა! თუმცა არა უშავს, დღეს განსაკუთრებულ გუნებაზე ვარ: ასე მგონია, რაღაც დიდი, შესანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შნავი რამ მომელის. ამინდის ბრალი თუა... შენ არა გაქვს ეს გრძნობა?

— ამინდი მართლაც შესანიშნავია. ძალიან, ძალიან მიხარია, რომ წელს ადრე ჩამოხვედი, სხვა მხრივ კი არაფერ შესანიშნავს არა ვგრძნობ.

პირიქით, უგუნებოდაც ვიყავი იმის გამო, რომ მთელი ზამთარი ტიფით ვიყავი ავად, კიდევ ერთი კლასით ჩამოვრჩი და მხოლოდ მესამეში ვსწავლობდი მაშინ, როცა ვალოდია უკვე მეხუთეში იყო.

— საით წავიდეთ? — ვეკითხები, — გინდა ჩვენს ყველაზე ლამაზ ქუჩას, ვოსკრესენსკაიას გაჩვენებ?

ვალოდიამ მიპასუხა, ჩემთვის სულ ერთიაო, და ჩვენც ბაღში წავედით, რომელსაც „შავ ტბას“ ეძახდნენ. იქიდან მოვბრუნდით და დასაძინებლად ჩემს ოთახში დავწექით. აღტაცებული ვიყავით, რომ ხვალ კოკუშკინოში მივემგზავრებოდით.

მეორე დღეს ორი ეტლით გავემართეთ კოკუშკინოში. ჩვენ მეეტლეების გვერდით კოფოზე ვიყავით გამოჭიმული.

— ოჰ, რა ხუმარა ყოფილა! — გამომეცხადა ყმაწვილმა მეეტლემ რომანმა, რომელთანაც ვალოდია იჯდა.

— ვისზე ამბობ? — ვკითხე მე.

— ვისზე და შენს ძმობილზე. ამასთან მკვდარი ცხენებითაც რომ წახვიდე, ვერ შეამჩნევ, როგორ გაივლი გზას.

შემდეგშიც არა ერთხელ უკითხავს ჩემთვის ამ ჩვენს მეზობელ სოფლის ბიჭს:

— მალე ჩამოვა შენი ძმობილი?

— რატომ მეკითხები?

— დიდი ხუმარა ვინმეა. იმისთანა ბიჭი არ მინახავს, ყველაფერზე მზადა აქვს გამოცანები და არაკები.

მაგრამ რომ ჩავაცივდებოდი, მაინც რა გითხრა-მეთქი, ვერაფრით ვერ ვთქმევინებდი დალაგებით და დაწვრილებით ვალოდიას ნათქვამს.

—იჰ, სად დაიხსომებ! — თავს დაიძვრენდა ხოლმე და მრგვალი სახე უფრო გაებადრებოდა კმაყოფილი ღიმილით.

მეორე დღეს ორი ეტლით გავემართეთ კოკუშკინოში.

1887 წელი

1887 წლის გაზაფხულზე, როცა ვალოდია გიმნაზიას ამთავრებდა, მეფე ალექსანდრე III-ზე თავდასხმაში მონაწილეობის გამო პეტერბურგში დაიჭირეს ალექსანდრე ილიას-ძე. დაიჭირეს ანა ილიას ასულიც.

ჩემმა დამ კატიამ, რომელიც მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა, ეს ამბავი მოსწერა სიმბირსკში ნაცნობ მასწავლებელ ქალს ვერა ვასილის ასულ კაშკადამოვას და თხოვა, შეამზადეთ დეიდა მაშა და ფრთხილად შეატყობინეთ ეს თავზარდამცემი ამბავი. ილია ნიკოლოზის-ძე მაშინ უკვე ცოცხალი აღარ იყო, ერთი წლით ადრე გარდაიცვალა.

ვერა ვასილის ასულმა პირველად ვალოდიას უთხრა მიღებული წერილის შესახებ.

იმ დღიდან ვალოდიას ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა.

დეიდა მაშა პეტერბურგში გაემგზავრა, ვალოდია ოჯახში უფროსად დარჩა.

არა ერთხელ მოუგონებია მარია ილიას ასულს, რა მზრუნველობითა და ყურადღებით ეპყრობოდა ვალოდია მაშინ თავის პატარა დებსა და ძმას და იმ მძიმე დღეებში პირველივე გემით როგორ ჩავიდა დედაჩემი ბავშვების მოსანახულებლად.

ალექსანდრე ილიას-ძე თავდასხმის ერთ-ერთ ხელმძღვანელად აღიარეს, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და 1887 წლის 8 მაისს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

იმ მძიმე დღეებში ვალოდია გულმოდგინედ მეცადინეობდა; ბრწყინვალედ აბარებდა სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს და ამავე დროს არც პატარების გამხნევებასა და გართობას ივიწყებდა.

აბა იფიქრეთ, რა ზნეობრივი ძალა უნდა ჰქონოდა ჩვიდმეტი წლის ყმაწვილს, რომ აგრე წარბშეუხრელად აეტანა ასეთი მძიმე უბედურება, ასეთი ღრმა მწუხარება!

ვალოდიამ გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა, თუმცა პედაგოგიური საბჭო ყოყმანობდა, შეიძლება თუ არა მივცეთ მას ასეთი ჯილდოო. იმ დროს სიმბირსკის გიმნაზიას ბრალსა დებდნენ, რომ მან აღზარდა და ოქროს მედლით დააჯილდოვა „სახელმწიფო დამნაშავე“. მხედველობაში ჰყავდათ თვითმპყრობელობის მიერ დასჯილი ალექსანდრე ილიას-ძე. მაგრამ ვალოდიას ისეთი ბრწყინვალე წარმატებები ჰქონდა, რომ მაშინდელმა პედაგოგიურმა საბჭომაც კი ვერ შეძლო ოქროს მედლის წართმევა.

ფაკულტეტის არჩევა

1887 წლის ზაფხულში ულიანოვების მთელი ოჯახი ჩვეულებრივზე ადრე ჩამოვიდა კოკუშკინოში. ანა ილიას ასული, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უკვე იქ იმყოფებოდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ.

ვალოდია ყველაზე გვიან ესტუმრა კოკუშკინოს. პატარაობიდანვე ყოველ ზაფხულს ვხვდებოდი ვალოდიას და მის ფიზიკურ თუ ზნეობრივ ცვლილებებს ნაკლებ ვამჩნევდი. ამ ზამთრის განმავლობაში კი ვალოდია ძალიან შეიცვალა: თავშეკავებული, სიტყვაძვირი გახდა, — ნაკლებ იცინოდა; ერთი სიტყვით ერთბაშად დაკაცდა და დადინჯდა, მაგრამ გარეგნობით შეცვლილი არ იყო.

ვალოდიას სიდინჯე მისი შინაგანი ბუნებისგან მომდინარეობდა; ამ სიდინჯეს ხელოვნურობისა არაფერი ეტყობოდა და არც უკმურობასა თუ უხალისობას ჰგავდა. ესაა, წინანდელზე უფრო თავშეკავებული გახდა, მე ვიტყოდი, — შეგნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული გულჩახვეულობა დასჩემდა. განსაკუთრებით შესამჩნევად დაეტყო ჩუმი ირონია. მაგალითად, მოსაუბრის გაცვეთილი ან ყალბი სიტყვების მოსმენისას, ხშირად იტყოდა, ხოლმე: „სწორი მსჯელობა უნდა იქონიოთ ლაშარაკის დროსო“, — მისი ეს გამოთქმა ახლაც კი მახსოვს.

ამ წინადადებას უფრო მაშინ ხმარობდა, როცა სერიოზული შესიტყვება არ უნდოდა, მაგრამ საჭიროდ კი თვლიდა სისულელის აღნიშვნას.

ვალოდიამ ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა გადაწყვიტა. დედაქალაქის უნივერსიტეტების კარი მისთვის დაკეტილი იყო. ძალიან გამიკვირდა და კიდეც იმედი გამიცრუვდა, როცა მან ეს ფაკულტეტი ამოირჩია: ვფიქრობდი, იურიდიული მეცნიერება გაცილებით დაბლა დგას-მეთქი საბუნებისმეტყველოზე. ეს აზრი მაშინ საკმაოდ გავრცელებული იყო, თანაც იურიდიულ ფაკულტეტზე მეტწილად ისეთი ყმაწვილები შედიოდნენ, რომელთაც მეცნიერების არც ერთი დარგისადმი არ ჰქონდათ მიდრეკილება.

მახსოვს, იმ წელს კოკუშკინოში ერთი ნაცნობი, გ. ნ. შებუევი გვესტუმრა, რომელიც ყაზანის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა მათემატიკური ფიზიკის განხრით. ის დიდხანს, ძალიან დიდხანს დასეირნობდა ვალოდიასთან ერთად ბაღში და ესაუბრებოდა. არ ვიცი რაზე ჰქონდათ ლაპარაკი, მაგრამ მერე არა ერთხელ მსმენია, როგორ გატაცებით ირწმუნებოდა შებუევი, ვლადიმერ ილიჩი უთუოდ მათემატიკურ ფაკულტეტზე უნდა შევიდეს, „ნამდვილად მათემატიკური წყობის ჭკუა აქვსო“; სიმბირსკის გიმნაზიის რუსული და ძველი ენების მასწავლებლები კი თავის მხრივ გაიძახოდნენ, ვლადიმერ ილიჩი აუცილებლად ფილოსოფიურ ფაკულტეტზე უნდა შევიდესო. ხოლო ვალოდიას რომ შევეკითხე, რატომ აირჩია-მეთქი იურიდიული ფაკულტეტი და არა რომელიმე მათემატიკური ან საბუნებისმეტყველო, მან მიპასუხა:

„ახლა ისეთი დროა, საჭიროა სამართლის მეცნიერებისა და პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა. იქნებ სხვა დროს სხვა რამ ამერჩიაო...“

პირველი გადასახლება

სასწავლო წლის დასაწყისში დეიდა მაშა მთელი ოჯახით კოკუშკინოდან ყაზანში გაემგზავრა.

ვალოდია ყაზანის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაეწერა.

1887 წლის პირველ მარტს მოწყობილი თავდასხმის შემდეგ, რომელშიც სტუდენტები მონაწილეობდნენ, მეფის მთავრობამ წინანდელზე მეტად დაუწყო დევნა და შეზღუდვა სტუდენტობას. უნივერსიტეტში სტუდენტები პროტესტს აცხადებდნენ მეფის სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ.

ამ პროტესტს მაშინ „სტუდენტთა არეულობას“ ეძახდნენ.

ვალოდიამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა ამ რევოლუციურ მოძრაობაში. ამიტომ დეკემბერში დაჭირეს, უნივერსიტეტიდან გარიცხეს და, იმდროინდელი ადმინისტრაციული თერმინოლოგიის მიხედვით, „სამშობლოში“ — სოფელ კოკუშკინოში გადმოასახლეს, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა მისი პაპა.

ვალოდიას ოთახი უბრალოდ იყო მოწყობილი: ხის საწოლი, წიგნების თარო, უბრალო კარადა, ორი—სამი სკამი, დასაკეცი ტაბურეტი, მაგიდა. იქვე კართან სადურგლო დაზგა იდგა: იმის გატანაც მოინდომეს, მაგრამ ვალოდიამ თქვა, ნუ გაიტანთ — წიგნების დასაწყობად გამომადგებაო.

შემდეგ, გაზაფხულის პირზე, ამ ოთახში მასთან მისი პატარა ძმა მიტია ცხოვრობდა.

ვალოდიას პატარაობიდანვე გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა გლეხებთან; როცა გადასახლებაში ჩამოვიდა, გლეხობა ძალიან კარგად შეხვდა.

ვალოდია განმარტოებით ცხოვრობდა, მთელ დროს თითქმის წიგნების კითხვაში ატარებდა, რომლებსაც ყაზანიდან უგზავნიდნენ. სტუმრები იშვიათად ჰყავდა, რადგან ყაზანიდან ზამთრობით გზას ხუთი — ექვსი საათი უნდოდა, და ისიც თუ კარგი ამინდი იდგა.

დიდი თოვლით დაფარულ მინდვრებზე ვიწრო გზა გადიოდა. ზედ გაჭირვებით გაივლიდა ერთი ცხენი, ხოლო წყვილი ცხენი წალიკად უნდა შეებათ, ე. ი. ერთი წინ და ერთი — უკან. ქარბუქის დროს გზა აღარ ჩანდა და ადვილი შესაძლებელი იყო რამდენიმე საათი უგზო-უკვლოდ გეხეტიალა ამ ნაკლებად დასახლებულ ადგილებში.

ფლიგელი, რომელშიც ვლადიმერ ილიას-ძე ცხოვრობდა გადასახლების დროს, ახლა ხელახლაა აშენებული. ვლადიმერ ილიას-ძის ოთახში ყველა ნივთი შეძლებისდაგვარად ისევ აღდგენილი, როგორც მის დროს იყო.

სოფელ კოკუშკინოს ახლა ლენინო ჰქვია.

უკანასკნელი წელი ყაზანში

1888 წლის შემოდგომაზე ვალოდიასა და ანას ნება დართეს ყაზანში ცხოვრებისა, მაგრამ უნივერსიტეტში ის მაინც არ მიიღეს.

დეიდა მაშამ ბინა დაიქირა ორლოვის სახლში, პირველ გორაზე.

ხრამის თავზე წამომდგარი ორსართულიანი სახლი ყოველი მხრიდან ჩანს. ამ სახლში ახლა ვ. ი. ლენინის მუზეუმია მოთავსებული, პირველ გორას კი ლენინის ქუჩა ჰქვია.

ვალოდიამ თავისთვის დაბლა ოთახში განცალკევებული ოთახი ამოირჩია ვიწრო საწოლით.

მაღალსაყელოიანი სტუდენტური სერთუკისა და ფორმის პალტოს მაგივრად ახლა უბრალო სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა: მუქი ფერის პიჯაკი და ყელტი, პერანგი გადაკეცილი საყელოთი, რომელზეც ჰალსტუკის ნაცვლად ფოჩიანი ზონარი ეკეთა, — იმ დროს ასე ატარებდნენ.

ვალოდია აქაც ბეჯითად მეცადინეობდა.

მის ერთადერთ გართობას ამ ხანებში ჭადრაკი წარმოადგენდა. ძლიერი მოჭადრაკე იყო და ცნობილ მოჭადრაკე ხარდინთან მიწერ-მოწერით აწარმოებდა თამაშს, ე. ი. ერთმანეთს სვლებს წერილებით აცნობდნენ. ეს ხარდინი ჭადრაკის ცნობილ ჩემპიონ ჩიგორინთანაც კი იყო ნათამაშები.

ვალოდია ხანდახან ჭადრაკის კლუბშიც დადიოდა.

1889 წლის ზაფხულში ულიანოვების ოჯახი ხუტორ ალაკაევკაში გაემგზავრა, რომელიც სამარიდან ორმოცდაათ კილომეტრზე მდებარეობდა.

აქ მიიღო ბოლოს ვალოდიამ ნებართვა სხვა სტუდენტებთან ერთად ექსტერნად ჩაებარებინა სახელმწიფო გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტში.

რაღაც წელიწადნახევარსა თუ ორი წლის განმავლობაში ვალოდია დამოუკიდებლად მოემზადა და იურიდიული ფაკულტეტის გამოცდები ჩააბარა ისე, რომ ამხანაგებს არ ჩამორჩენია და წელიწადიც არ გაუცდენია.

ამ ხანებში ვლადიმერ ილიას-ძე კარლ მარქსის შრომების შესწავლას შეუდგა და რევოლუციონერის გზას დაადგა.

ვლადიმერ ილიას-ძემ მთელი თავისი ცხოვრება ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის რევოლუციურ ბრძოლას შესწირა.

ჩვენი ბრძენი მთავრობა და მშობლიური კომუნისტური პარტია ასრულებს ლენინის ანდერძს, ამტკიცებს მეგობრობას ხალხთა შორის, იბრძვის მთელს მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვებისათვის და მტკიცედ მიგვიძღვება სულ წინ და წინ, კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

ერთ პიონერულ შეკრებაზე

პატარები დიდი მონდომებით ემზადებოდნენ რაზმის შეკრებისათვის, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადებისადმი უნდა მიეძღვნათ. სათუთად იწერებოდა კედლის გაზეთის ყოველი სტრიქონი, ახალი სურათებითა და ამონაწერებით ივსებოდა პიონერთა ოთახში მოწყობილი ლენინის კუთხე, სწავლობდნენ პიონერები ლექსებსა და სიმღერებს ლენინზე, მესამეკლასელებს ნორჩ ლენინელთა რიგებში შესასვლელად ამზადებდნენ, მათ ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირებას ასწავლიდნენ, უხსნიდნენ რას ნიშნავს ლენინის ანდერძისათვის ბრძოლა, რას ნიშნავს იყო საბჭოთა სამშობლოს ღირსეული მოქალაქე.

შეკრებისათვის მზადების დღეებში მეექვსეკლასელები ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები გახდნენ, — კითხულობდნენ ანა ულიანოვას, ნადეჟდა კრუპსკაიას მოგონებებს ლენინზე, მოთხრობებსა და ზღაპრებს; ეცნობოდნენ მის ბიოგრაფიას. ლენინის მმობლიურ ქალაქ ულიანოვსკის პიონერებსაც გაუგზავნეს წერილი; შორეულ მეგობრებს თხოვდნენ ყველაფერი დაწვრილებით მოეთხროთ იმ სახლსა და იმ ქალაქზე, სადაც დაიბადა და იზრდებოდა ვალოდია ულიანოვი.

დიდხანს დაჰყვეს ექსკურსანტმა პიონერებმა ლენინის მუზეუმში; ნახეს, გაიგეს, შეისწავლეს, ჩაიწერეს და ჩაიხატეს ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო და საგულისხმო. ბელადის რევოლუციურ მოღვაწეობას ეკრანზედაც გაეცვნენ. დოკუმენტალურმა კადრებმა ალტაცებაში მოიყვანა პატარები.

* * *

კარგად რომ მოემზადნენ, პიონერთა ოთახში შეიკრიბნენ. „ვისწავლოთ და ვიცხოვროთ ილიჩისებურად“ ასეთი იყო თემა რაზმის შეკრებისა.

საზეიმო ფორმაში გამოწყობილი ოცდაცხრა ნორჩი ლენინელი ხაზზე მოეწყო. მოპირდაპირე მხარეს ჩამწკრივდნენ ისინი, ვისაც ცხრა წელი შეუსრულდა და კარგი სწავლითა და ყოფაქცევით მოიპოვა ნორჩი ლენინელის საპატიო წოდების მინიჭების უფლება.

შეკრება დაიწყო. „ვალოდია ულიანოვის კარგი თვისებები“, „ჩვენ ნორჩი ლენინელები ვართ“, „რა ვნახეთ ლენინის მუზეუმში“,„ ლენინი—ბავშვების მეგობარი“, „რა ვეიამბო ეკრანმა,“ „ლექსები და სიმღერები ლენინზე“, „მესამეკლასელთა მიღება ნორჩ ლენინელთა რიგებში“ — აი, საკითხები შეკრებისა.

მეექვსეკლასელებმა ჯერ პატარები პიონერულ ორგანიზაციაში მიიღეს, რომ ისინიც გვერდში ამოეყენებინათ და მათთან ერთად განეგრძოთ შეკრება.

რიგრიგობით გამოდიოდნენ მესამეკლასელები პიონერის საზეიმო დაპირების წარმოსათქმელად.

აი, წინ წამოდგა თენგიზ გადელია.

„... ჩემი ამხანაგების წინაშე ვიძლევი საზეიმო დაპირებას, ვიყო ლენინის ანდერძის ერთგული, მტკიცედ ვიბრძოლო ჩვენი კომუნისტური პარტიის საქმისათვის“, — ამბობდა თენგიზი და სიხარულისა და მღელვარებისაგან ალმოდებული სახით შეჰყურებდა ნორჩ ლენინელთა მწკრივს, რომელთა შორის ამიერიდან ისიც იქნებოდა.

აუსრულდა თენგიზს სანუკვარი ოცნება, მას პიონერხელმძღვანელმა მკერდზე ალისფერი ყელსახვევი შეუბნია და მიეცა უფლება ეთქვა: „მზად ვარ კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად!“

დიდი იყო თენგიზის სიხარული. იგი პიონერთა რიგებში მიიღეს სწორედ იმ დღეს, როცა რაზმი ლენინის დაბადების დღეს აღნიშნავდა, იმ ადამიანის დაბადების დღეს, რომელმაც შექმნა პიონერთა ორგანიზაცია.

23-ე საშუალო სკოლის მე-6 რაზმის პიონერები ვ. ი. ლენინის მუზეუმში.

* * *

— ვალოდია ულიანოვს ბევრი კარგი თვისება ჰქონდა, მე გიამბობთ რა წავიკითხე ამის შესახებ მოგონებებში ლენინზე, — თქვა ნინო ხევსურიანმა და თხრობა დაიწყო:

— ვალოდიას სიმართლის თქმა უყვარდა.

ერთხელ ვალოდიამ უფროსი დის სახაზავი გატეხა. გატეხა და აღარ მოეწონა თავისი საქციელი. გაიქცა დის საძებნელად და უთხრა შენი სახაზავი მე გავტეხეო, თანაც მუხლი აიწია და უჩვენა როგორ გადატეხა სახაზავი. კიდევ კარგი რომ არაფრის დამალვა არ უყვარსო, ამბობდა დედა.

დედა ვალოდიას ძალიან უყვარდა, დიდ პატივს სცემდა, მისი სიტყვა ვალოდიასათვის კანონი იყო.

დედა სამზარეულოში ვაშლს ფცქვნიდა. ვალოდიამ ვაშლის ნაფცქვნი თხოვა. დედამ არ მისცა, ნაფცქვნების ჭამა ვის გაუგონიაო. ამ დროს დედას გარედან ვიღაცამ დაუძახა. როცა დედა დაბრუნდა ვალოდია იქ აღარ დახვდა. გაიხედა ბალში და დაინახა —ზის ვალოდია და ვაშლის ნაფცქვნებს გამალებით სანსლავს. დედამ ვალოდია შეარცხვინა. ვალოდიამ დედას სიტყვა მისცა, აღარ ვიზამო, და ეს სიტყვა კიდევაც შეასრულა.

ვალოდიასათვის უცხო იყო ტრაბახი, მედიდურობა და ბოლომდე შერჩა მას ეს თვისება. აი რა წავიკითხე ამის შესახებ:

1905 წელს ტამერფორსში ბოლშევიკების კონფერენციაზე ლენინი და სტალინი პირველად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. სტალინი თურმე მოელოდა, რომ ლენინი მოვიდოდა გვიან, მაშინ, როცა დელეგატები შეიკრიბებოდნენ და მის გამოჩენას დაელოდებოდნენ. ის კი არა და ლენინი სხვებზე ადრე მოსულიყო, დელეგატებს შორის კუთხეში მიმჯდარიყო და საუბრობდა მათთან. ეს თავმდაბლობა იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხასიათის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარეო, ამბობდა შემდეგში ძია სტალინი.

ვალოდიას უყვარდა დაწყებული საქმე ბოლომდე მიყვანა, იცოდა სწავლაში ჩამორჩენილი ამხანაგების დახმარება, დაჩაგრულთა გამოსარჩლება.

ბევრი(ძალიან ბევრი კარგი თვისება ჰქონდა ვალოდია ულიანოვს. ეს კარგი თვისებები ახასიათებდა ძია ლენინს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

ნინოს შემდეგ საუბარი ლიდა ფირსოვამ წამოიწყო. აი, რა უამბო მან ამხანაგებს:

ლენინი ბავშვების დიდი მეგობარი იყო. ბაბუა ლენინს უძახოდნენო მას ბავშვები. ბევრი საქმე ჰქონდა, ძალზე დატვირთული იყო სახელმწიფო საქმეებით, მაგრამ ბავშვებისათვის მაინც გამონახავდა ხოლმე დროს.

ეს ყოფილა 1919 წელს.

მოსკოვის მახლობლად, სოკოლნიკის სკოლაში ნაძვისხე გაჩირაღდნდა. ხომ დიდია სიხარული ნაძვის ხესთან, მაგრამ სოკოლნიკელ ბავშვებს ყველაზე მეტად ის ახარებდათ, რომ ილინი ელოდნენ სტუმრად მოწვეულ ლენინს, ყველას ეზოსკენ ეჭირა თვალი. ყველა მოუთმენლად ელოდა საყვარელ პელადს და ახალ წელს.

23-ე საშუალო სკოლის მე-6 რაზმის პიონერები აფორმებენ ვ. ი. ლენინის დაბადების დღისადმი მიძღვნილ კედლის გაზეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ნანატრი სტუმარი მოვიდა, სოკოლნიკელ ბავშვებთან ერთად შეხვდა ლენინი ახალ წელს, მათთან ერთად ჩაება საახალწლო ფერხულში. აი, პაწაწა გოგონამ ლექსის თქმა განიზრახა. წინ წამოდგა, დაიწყო, მაგრამ შეეშალა, გაჩერდა, გაწითლდა, ცრემლმა დაუნახა თვალი. ვლადიმერ ილიჩმა გოგონას მიუალერსა, დაამშვიდა ისე ტკბილად, ისე თბილად, რომ გოგონამ სთხოვა „ლენინ, ნუ წახვალ, სულ ჩვენთან იყავიო!“ — ასე მოგვითხრობს კონონოვის წიგნი „ნაძვის ხე სოკოლნიკში“.

1922 წელს ქალაქ ვიატკის პიონერებმა და მოსწავლეებმა თავიანთი საუკეთესო მოდელები და ნახატები ძია ლენინს გაუგზავნეს საჩუქრად. ვლადიმერ ილიას-ძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ნადეჟდა კრუპსკაია იგონებდა: — პიონერთა საჩუქრები მეორე სართულის დიდ ოთახში, ილიჩის ოთახის მახლობლად დავდგი. ლენინი ისე არ გაუვლიდა მათ, რომ სიამოვნებით არ გაეღიმაო.

* * *

ნანა მირიანაშვილმა ლენინის მუზეუმში მიღებული თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა ამხანაგებს. ნანას თანაკლასელები თუ სიამოვნებით იგონებდნენ ლენინის მუზეუმში მიღებულ საკუთარ განცდებს. მეესამეკლასელები მოსაუბრეს ისე შეესქეროდნენ, თითქოს სურდათ მის თვალებში წაეკითხათ ის, რაც უთქმელი დარჩებოდა.

მუზეუმს რომ შევედი, ჩემი ყურადღება ყველაზე უფრო ერთმა პორტრეტმა მიიპყრო. კედლიდან დაგვცქეროდა გიმნაზიის ფორმაში გამოწყობილი ბიჭი, ფართოდ გახელილი პკვიანი თვალებით. მე მაშინვე ვიცანი იგი. ეს იყო ვალოდია ულიანოვი მოწაფეობის დროს.

— აქ თქვენ ნახავთ როგორ სწავლობდა ვლადიმერ ილიას-ძე, როცა იგი თქვენსავით მოწაფე იყო, — გვითხრა ექსკურსიის მძღოლმა. ჩემი ყურადღება მიიპყრო დახასიათებამ, რომელიც ვალოდია ულიანოვმა მიიღო გიმნაზიის დამთავრებისას. მე იგი გადმოვწერე. აი, წაგიკითხავთ — „მეტად ნიჭიერი, მუდამ ბეჯითი და აკურატული ულიანოვი ყველა კლასში პირველი მოწაფე იყო ... დაჯილდოებულია ოქროს medlit, როგორც ყველაზე ღირსეული წარმატებით, განვითარებით და ყოფაქცევით“.

ექსკურსიის მძღოლმა გვიამბო, რომ ვალოდია ულიანოვს არასოდეს სკოლიდან შინ არ მიუტანია არცერთი სხვა ნიშანი, გარდა ხუთიანისა. მას არასოდეს არ სჭირდებოდა მშობლების შეხსენება გაკვეთილი მოამზადეო. მივიდოდა შინ, ისადილებდა და შეუდგებოდა მეცადინეობას. თუ სამინაოდ თხზულების დაწერა ჰქონდა დავალებული, იგი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა მარტო სახელმძღვანელოთი. ბიბლიოთეკიდან გამოიქონდა ყველა წიგნი, რომლითაც კი შეიძლებოდა გაეცნიერებინა მიცემული თემა და მისი თხზულებაც ყოველთვის ყველაზე უკეთესი იყო.

— აი ვის უნდა მივბაძოთ, — თქვა ნანამ და განაგრძო თხრობა იმისი, თუ რა ნახა და გაიგო იმ დარბაზებში, რომლებში გამოფენილი მასალები დიდი ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობას ასახავენ.

* * *

ბევრი ითქვა რაზმის შეკრებაზე საგულისხმო და დამაფიქრებელი. თავიანთ სიტყვებში პიონერები ერთხელ კიდევ იძლეოდნენ პირობას, რომ ისწავლიან და იცხოვრებენ ილიჩისებურად.

ლ. მელვინეთუხუცესი.
თბილისი, 23-ე საშუალო სკოლა.

ლენინის ძეგლთან

მტრედისფერია კრიალა ზეცა,
სველია მიწა, დღე არის მშვიდი.
ლენინის ძეგლთან მივდივარ დღესაც,
ღიმილით დამცქერს ბელადი დიდი.

ლენინის ძეგლთან ვჩერდები დიდხანს,
ნათელ მომავალს გვიჩვენებს ხელით.
დიდი ლენინი ჩვენ ისე გვიყვარს,
როგორც უყვარდა ბავშვები ლენინს.

მტრედისფერ ცამდე
ამართულს ვხედავ,
— ის ცოცხალია! — მოწყდება ბაგეს.
ის ცოცხალია! და ხალხთან ერთად
დღესავით ნათელ კომუნიზმს აგებს.

მაღალ კვარცხლბეკზე ამაყად მდგარი,
ნათელ მომავალს გვიჩვენებს ხელით.
ჩვენი პარტია ლენინი არის
და ლენინია სიცოცხლე ჩვენი.

მურმან ქველაია

ლენინი და ბავშვები

ერთი სურათი დევს ჩემს ოთახში,
ესოდენ ნაზი, ესოდენ თბილი:
ქერათმიანი ლამაზი ბავშვი
მხრებზე შეუსვამს ვლადიმერ ილიჩს.

აღტაცებულვარ მისი შემყურე;
სურათს მზისფერი შვენის არშია.
ლენინს ბავშვები უყვარდა თურმე,
ლენინს ბავშვებთან უთამაშია.

...მივდივარ გზაზე ნაბიჯით ნელით,
დედას შეჰღიმის პატარა ბავშვი;
აი, ეს ბავშვიც უყვარდა ლენინს, —
გაზაფხული რომ
უბრწყინავს თვალში.

დღეს ბრძენის სახეს
თვალნათლივ ვხედავთ
აპრილის ცის და მიწის ღიმილში, —
ლენინი უყვართ მსოფლიოს დედებს,
მსოფლიოს ბავშვებს უყვართ ილიჩი!

ოთარ შალამბერიძე



ოთარ ჩიჯავაძე

ნახ. ალ. ბანძელაძისა

ზვიგენის კბილი*

— მინდორში გასული «ჯოჯოებზე მონადირენი» გატაცებით ეძებდნენ ისეთ ბაღს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა შეუმჩნევლად გადაპარვა.

მაგრამ ბედმა არც ახლა გაუღიმათ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხელი შეუშალათ ორმა პაწაწკა ნტელა მწყემსმა, რომლებიც ხუთ გაკრეჭილ ცხვარსა და ერთ თხას დარაჯობდნენ; ისინი ერთმანეთის გვერდით იდგნენ, გამობერილი ტიტლიკანა მუცლებით, და თაგვივით მრგვალი თვალებით შეჰყურებდნენ მომავალ ბიჭებს გაბრაზებულმა ბარეკმა მუშტი მოუღერა მათ და ისე დაეღრიჯა, რომ შეშინებული ბალღები გაიქცნენ.

— უფრო შორს მოგვიხდება წასვლა! — გადაწყვიტა ალიმ.

მწყემსები უკვე შორს იყვნენ დარჩენილები, როდესაც ყვირილი მოესმათ. ბიჭები შემოტრიალდნენ ერთი მწყემსი აღარ ჩანდა, მეორე კი ხელს იქნევდა და შველას თხოულობდა.

ალი, მუკფი და ბარეკი ძეძვებზე და მარადმწვანე ბალახის გოროხებზე ხტომით მთელი ძალღონით გარბოდნენ

უფროსი, შვიდიოდე წლის მწყემსი, მიწაზე იწვა, – შიშისაგან ფართოდ გაეღო თვალები, სახეზე მიწისფერი ედო.

— რა დაემართა?—ჰკითხა ალიმ პატარას; მაგრამ ის ტიროდა და არ პასუხობდა.

— მორიელმა... — ჩურჩულით უპასუხა დაკბენილმა და უკვე შესიებული ფეხი გაჭირვებით გაანძრია. კოჭთან მოჩანდა გალურჯებული ნაკბენი ადგილი. ალიმ შემოიხსნა ქამარი და მუხლქვემოთ მაგრად გადაუჭირა. მუკფიმაც შემოიხსნა თოკი, რომელიც მისთვის ქამრის დანიშნულებას ასრულებდა, და მუხლზემოთ გადაუჭირა, — ყოველშემთხვევისათვის.

— ქალაქში, ტუბიბთან!** — გასცა განკარგულება ალიმ; ბიჭუნას სამივემ ჩაავლო ხელი—ვინ იღლიაში, ვინ ფეხში—აიტაცეს და გაარბენინეს. პატარა მწყემსი ფეხდაფეხ მისდევდა მათ, თან უკან იყურებოდა მიტოვებული ცხვრებისა და თხისაკენ.

ბარეკი, რომელსაც პურის დუქანში ცემის შემდეგ ზურგი აწუხებდა, ხვნეშოდა, ზოგჯერ კვნესოდა კიდეც, მაგრამ მაინც არ თანხმდებოდა, რომ ტვირთი მხოლოდ ალისთვისა და მუკფისთვის დაეთმო.

— სად არის ტუბიბი? — შეეკითხნენ აქოშინებული ბიჭები დედაკაცს, რომელსაც ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა. დედაკაცი გაჰყვა ექიმის სახლის საჩვენებლად. გზაში მათ სხვებიც შეუერთდნენ და ყველა ერთად ყაყანით შეჩერდა ცისფრად შეღებილ, ფართოფანჯრებიან ვილასთან. ავადმყოფი დააწვინეს ქვის საფეხურზე. ალიმ მიირბინა მოჩუქურთმებულ მუხის კართან და ბრინჯაოს საწეველას ხელი ჩამოჰკრა. სადღაც შორს ზარის წკარუნი გაისმა. ყველა დაძაბული ელოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ფანჯარაში გამოჩნდა კაცის მოგრძო, გამხდარი სახე და მიიმალა. კარი გაიღო და ლოყაწითელმა ქერა მსახურმა ქალმა, არც კი იკითხა რაში იყო საქმე. თქვა:

— ექიმი სადილობს!—და კარის დახურვა დააპირა, მაგრამ ალი და ბავშვიანი დედაკაცი გადაეღობნენ.

— მორიელმა უკბინა!.. გვიკვდება!— შეევედრა ალი. ჩვილმა ბავშვმა წამოიტირა.

— ხომ გეუბნებით, ექიმი სადილობს! — უტიფრად გაიმეორა მსახურმა ქალმა.

— როდის, როდის დაამთავრებს! — შეეკითხა დედაკაცი და ბავშვის თავი მკერდზე მიიკრა, რომ გაეყუჩებია,—ხომ იცით, ყოველი წუთი ძვირფასია.

— ერთ საათზე ადრე ვერ დაამთავრებს!—ბრიყვული ღიმილით უპასუხა მსახურმა ქალმა.

ოთახიდან დიასახლისის ხმა მოისმა:

— მარი! რას ეკამკრები! მიხურე კარები!

შეშინებულმა მსახურმა კარი ისეთი ძალით მოაჯახუნა, ალის რომ დროზე არ გაეწია ფეხი, ზედ მიამტვრევდა.

მუდამ მშვიდი მუკფი სარწეველას მივარდა და გაცხარებით ასტეხა რეკა, მაგრამ არავინ პასუხობდა.

— აქ იყავით... მე ახლავე მოვბრუნდები,—თქვა ალიმ და გაქრა.

მაყურებლის ალყით შემორტყმული ფაკირი ისევ ქადაგებდა ბაზარში. ალიმ გაარღვია ხალხის ტალღა, მიირბინა მასთან, მაგრამ სუნთქვაშეკრულმა უმალვე ვერ მოახერხა რაიმე ეთქვა.

— გამეცალე, შვილო! — მკაცრად წარმოთქვა ფაკირმა.

— წამოდით! წამოდით! იქ პატარა ბიჭია, რომელსაც...

ფაკირმა არ მიაქცია ალის ყურადღება და ქადაგებას განაგრძობდა.

— წამოდით! იქ ბავშვი კვდება... მორიელის ნაკბენისაგან, თეთრმა ტუბიბმა კი არ მიგვიღო!

ფაკირი დადუმდა და მომნუსხველი, ფოლადისფერი თვალები ბიჭს მიაშტერა.

ალიმ თვალი გაუსწორა და საცოდავი ხმით შეევედრა:

— მართალს ვამბობ, ძია, წავიდეთ, თორემ მოკვდება...

ფაკირმა თავისი ნივთები ვიღაცას ჩააბარა და ალის გაჰყვა.

ავადმყოფი უკვე დიდი ხის ჩრდილში გადაეყვანათ. ვიღაც დედაკაცი, ალბათ, დედა, თავს დასტიროდა და სახეს იკაწრავდა.

ფაკირმა გაუსინჯა ბიჭს გასიებული ფეხი.

— კარგია, რომ ქამრები გადაგიჭერიათ!—თქვა მან და ნაკბენ ადგილზე დანა დაუსვა. შედედებულმა მუქმა სისხლმა დენა დაიწყო. ფაკირმა ახლა ჯიბიდან ძვლის კოლოფი ამოიღო, ჭრილობას რაღაც შავი ფხვნილი დააყარა და ცეცხლი მოუკიდა. მუქი ბოლი ავარდა, ბიჭებმა პირი მოაღებდეს.

— სახლისაკენ!—ბრძანა ფაკირმა, ბავშვი ბუმბულივით აიტაცა ხელში და უკან გაჰყვა ატირებულ დედაკაცს, რომელიც ბორძიკით მიდიოდა. ბიჭებიც უკან გაჰყვნენ მათ.

ფაკირმა ქოხიდან ყველა დაითხოვა და

---

* დასასრ. იხ. „პიონერი“ №№ 1, 2, 3.

** ტუბიბი—არაბულად ექიმს ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო დარჩენილი დიდხანს მკურნალობდა ბავშვს; თხოულობდა ცხელ წყალს, ზეითუნის ზეთს და კიდევ ბიჭებისათვის გაურკვეველ რამეებს.

დაღამდა, როდესაც ფაკირი გამოვიდა და ქოხის კართან ჩამოჯდა. ბიჭებმა შენიშნეს, რომ ფაკირი ოფლში იწურებოდა.

— მე მგონია გადარჩება! — უთხრა მან მუდარით შემყურე დედას. — ხვალ შემოვიარ. თუ ცოტა ხნით დამბლა დაეცეს, ნუ შეშინდებით! შენი ქმარი სადღაა?— მოულოდნელად ჰკითხა დედაკაცს.

— საფრანგეთში, ჯარშია.

ფაკირი მოიღუშა, შემდეგ მოწიწებით მდგარ ხალხში ბიჭები მოძებნა და თითით მოიხმო ისინი. ბიჭები მიუახლოვდნენ.

— ბარაქალა, ყმაწვილებო, ფეხზე რომ გადაუჭირეთ.

სამივე ამხანაგმა მორცხვად გაიღიმა. ფაკირმა ბიჭები ალერსით შეათვალიერა, შემდეგ წარბები შეჭკრა და ალის მკერდზე ჩამოკიდებულ ავგაროზს დააცქერდა.

— ზკიგენის კბილი სად იშოვე?—ჰკითხა ფაკირმა.

ალი სდუმდა. ბარეკი დაუყოვნებლივ ალაპარაკდა:

— თქვენ რომ ჰყვებოდით, ძმის გულისათვის ზვიგენს შეებაო, ეს ის ბიჭია...— თავის ნათქვამით კმაყოფილი ბარეკი ალის ზურგს მოეფარა.

— შენ ძმას რა ერქვა?

— ჰუსეინი! — უპასუხა ალიმ.

— მართალია!.. შენი წამოსვლის შემდეგ იქ ვიყავი, ყოჩაღ! ნამდვილი არაბები იზრდებით! — და ჯიბიდან ამოღებული ორმოცდაათფრანკიანი გაუწოდა.

ასეთი დიდი თანხა ბიჭებს ჯერ არ ჰქონოდათ. ბარეკი ალის უკვე კალთაზე ეწეოდა, რომ საჩქაროდ პურის საყიდლად წასულიყვნენ.

— ახლა გვიანაა და შინ წადი, ხვალ დილით კი ბაზარში მნახე,—ამ ხნის განმავლობაში პირველად გაიღიმა ფაკირმა.

— ჩვენ აქაურები არა ვართ, ალჟირიდან ვართ! — აუხსნა ალიმ.

— გინდა შეგირდად აგიყვანო? გასწავლი ცის მნათობების საიდუმლოებას, ადამიანებისა და ცხოველების მკურნალობას!.. გველების მოჯადოებას!

— მე ავადმყოფი დედა მყავს და პატარა და-ძმა, რომლებიც უნდა ვარჩინო! — დუმილის შემდეგ ჩუმად უპასუხა ალიმ.

ფაკირი წამოდგა, უსიტყვოდ გავიდა ეზოდან და ვიწრო ქუჩის სიბნელეში გაუჩინარდა, თან დედის ლოცვა და მადლობა გაიყოლია.

პურით მაგრად გამომძღარმა ბიჭებმა გადაწყვიტეს ღამე მოედანზე გაეტარებიათ, მაგრამ ექიმის ვილა, დიდი გაჩირაღდნებული ფანჯრებით, მოსვენებას არ აძლევდა მათ.

ალიმ და მუკფიმ მყუდრო ადგილს დაუწყეს ძებნა, რომ დარაჯს არ გაეგდო ისინი; ბარეკი კი, როგორც ყოველთვის, სადღაც გაქრა. უეცრად ჩამტვრეული მინის ზრიალი მოესმათ.

— გავიქცეთ! — მოვარდა აღგზნებული ბარეკი და არც დაუცდია პასუხისთვის ისე გაიქცა. ალი და მუკფი უკან დაედევნენ. ბიჭები უკვე შორს იყვნენ, როდესაც რევოლვერის რამდენიმე გასროლა შემოესმათ. ეს, ალბათ, შეშინებული ექიმი ისროდა «თავდამსხმელების» შესაშინებლად. შემდეგ გაღვიძებული დარაჯების სტვენა გაისმა და ძაღლებიც აყეფდნენ.

მთვარის სხივებით განათებულ გზაზე მიმავალი ალი და მუკფი ბარეკს არაფერს ეკითხებოდნენ.

ახლა ბარეკი ჩვეულებისამებრ უკან როდი მოჩანჩალებდა, — იგი შუაში მიაბიჯებდა ამაყად. შარაგზაზე მათ წინ მიმავალ სამ ჩრდილს შორის მხოლოდ ერთს, შუათანას ჰქონდა მაღლა აწეული თავი.

მეორე დღეს ალიმ ოცდახუთი ფრანკი დედას მისცა, მუკფის პაპას კი ათი; დარჩენილი ექვსი ფრანკით ბიჭები კინოში წავიდნენ ამერიკული სათავგადასავლო ფილმის სანახავად, რომელშიც თითოეული თეთრკანიანი ავტომატური თოფით, ჯუნგლებში სულ ცოტა ოც შიშველ ზანგსა ჰკლავდა — მხოლოდ ისრებითა და ფარებით შეიარაღებულს.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ გემის საყვირის ხმაზე მეგობრები პორტისაკენ გაეშურნენ. ნავმისადგომზე სიცოცხლე სუფევდა. თეთრი ქათქათა «ლაინერის» საბიჯელაზე ხალხი ჩამოდიოდა. გვერდებზე გახსნილ ჰერმეტულ კარებიდან მსახურებს თეთრეულის ბოღჩები გამოჰქონდათ, ფოსტის მუშები აქვე. მოლოზე ალაგებდნენ საფოსტო ამანათების გროვას. ღია ტრიუმებიდან ამწეებით ტვირთი აჰქონდათ.

ბიჭებმა ვერ მოახერხეს სამუშაოს შეუვლა, რამდენჯერაც არ შესთავაზეს მგზავრებს — ჩემოდნებს წაგიღებთო, მთვრალმა მეთვალყურემ ყოველთვის ჯოხით იფრინა ისინი. შორიდან ინტერესით უყურებდნენ დოკერების მუშაობას, რომლებიც გემიდან ახალ ავტომანქანებს ტვირთავდნენ. მძლავრი ამწე ბუმბულივით იტაცებდა ტრიუმიდან მანქანას და ქვაფენილზე ფრთხილად უშკებდა.

ერთი დოკერი მანქანის საჭესთან ჯდებოდა, სამი კი მანქანას აწვებოდა და ატარებდა — ეტყობოდა, ფრიად კმაყოფილნი იყვნენ ასეთი იოლი სამუშაოთი.

მანქანა გადიოდა ქვაფენილზე, ზედ ზღვის პირას, ყუთებსა და ელექტრომოტორებს უკან უხვევდა და ღია საწყობის კარებში შედიოდა.

ყუთზე შემდგარი ვეება ბრიგადირი მქუხარე ხმით იძლეოდა განკარგულებებს.

მოლოზე მანქანები გაიჩხირა. უზარმაზარმა მანქანა-მაცივარმა ფრთა წამოსდო მეორე მანქანის მძიმედ დატვირთულ მოსაბმელს; კაბინებიდან თავგამოყოფილმა შოფრებმა ერთმანეთს ლანძღვა დაუწყეს. დოკერები სწორედ ამ დროს მანქანას მიათრევდნენ მოლოს განაპირას მანქანა-მაცივრის უკან. უზარმაზარმა მანქანამ დაიხია, კინაღამ გასრისა დროზე მოსხლეტილი დოკერები და მათ მანქანას ოდნავ დაეჯახა. ბრიგადირმა შემზარავად დაიღრიალა და თავზე ხელები იტაცა. მოულოდნელობისაგან გაშტერებული დოკერები იდგნენ, ახალი, პრიალა, მჭიდროდ კარდაკეტილი მანქანა კი ოთხივე ბორბლით თანდათან წყალში ეშვებოდა.

გააფთრებით ეჯაჯგურებოდა კაბინის კარს დაბნეული დოკერი. მისი თავზარდაცემული სახე ახლა მეორე კართან გამოჩნდა, რომლის გაღებასაც. აგრეთვე. ამაოდ ლამობდა. მანქანა მღვრიე მწვანე წყალში გაუჩინარდა. ნაპირზე მდგარნი ერთ ხანს კიდევ ხედავდნენ მანქანის შავ სახურავს, რომელიც სიღრმეში მიმავალი დიდი თევზის ზურგს ჰგავდა. შემდეგ ჰაერის მსხვილ-

ბიჭუნას სამივემ ჩაავლო ხელი... აიტაცეს და გაარბენინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დოკერები, შოფრები, მეზღვაურები საჩუქრებით შედიოდნენ ალისთან.

მა ბუშტებმა ამოიბუყბუყეს წყლის ზედაპირზე; მეტი აღარაფერი მოჩანდა იმ ადგილზე, სადაც ახლახანს მანქანაში დამწყვდეული ადამიანი ჩაიძირა. მხოლოდ კონსერვის ცარიელი კოლოფი ირწეოდა წყლის ტალღაზე, დაცურავდნენ ფორთოხლის ქერქები და ხანდახან ჰაერის პატარა ბურთულები სკდებოდნენ. დაბნეულობის პირველმა წამებმა გაიარა; თითოეული თავისებურად აპირებდა კაცის გადარჩენას. ონკანის მექანიკოსი დიდ კავს უშვებდა, მაგრამ ამაოდ; საიდანღაც მოვარდა თავზე ტომარამოგდებული და ფქვილში ამოგანგლული დოკერი, ტანთ გაიხადა და წყალში გადაეშვა. ყველა მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას. მან ამოყვინთა, უარის ნიშნად თავი გაიქნია და კვლავ ჩაყვინთა. ზოლიან მაისურიანმა მეზღვაურმა საიდანღაც გრძელი ჯოხი მოათრია, წყალში ჩაუშვა, შარვალი გაიძრო და ჯოხს ჩაჰყვა. მაგრამ ორივე მაშველმა ამოიყვინთა.

— ჭუჭყია, ლამია, არაფერი ჩანს!— განაცხადეს მათ.

— თვრამეტი მეტრი სიღრმეა!—ვიღაცას ჩახლეჩილი ხმით უმტკიცებდა ბრიგადირი,—ნამდვილად ვიცი!

— მყვინთავი... მყვინთავია საჭირო!— ყვიროდა გემიდან ვიღაცა.

იმ ადგილას სადაც მანქანა ჩაიძირა, გამოჩნდა ზეთის თხელი ფენა და მოსოსანო-მოწითალო ფერად ალაპლაპდა.

თუმცა მხოლოდ რამდენიმე წუთი გავიდა, მაგრამ უკვე გაიარა ადამიანის გადარჩენის მძაფრი სურვილის პირველმა მომენტებმა. ხალხი ახლა ამის შესაძლებლობას ეძვის თვალით უყურებდა. ისმოდა ამოძახილები:

— სრულიად ახალგაზრდაა... ბიჭია!

— არა, ხანშიშესულია, მე თვითონ ვნახე!.

— ეს რენეა, ეხლახანს რომ ცოლი შეირთო!

— საბრალო რენე!..

უეცრად ხმები ჩაჩუმდა. ყველა იქითკენ მიტრიალდა, საიდანაც მუცელზე მიკრული ელექტრომოტორის სიმძიმისაგან მოკაკული, შიშველი, ხუჭუჭთმიანი ბიჭი ნაპირს მოკლე ნაბიჯებით უახლოვდებოდა.

გზა დაუთმეს. ნაპირთან მისულმა ალიმ რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქა, უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე მოტორი და, სიმძიმით დაძლეული, უხერხულად გადაეშვა წყალში.

ყველა დაძაბული უყურებდა წყლის ზედაპირზე გაჩენილ რგოლებს, რომლებიც თანდათან დიდდებოდა, ერთი მხრიდან ნაპირს აწყდებოდა, ხოლო მეორე მხრიდან გემის კიჩოს. წამები საუკუნედ მოჩანდა.

— ესეც დაიღუპა!—თქვა ვიღაცამ.

— ხმა ჩაიწყვიტე!—შეუღრინა მეორემ.

სიჩუმეში ისმოდა გემის ტურბინების თანაბარი გუგუნი.

— შეხედეთ, შეხედეთ!

რამდენიმე მეტრის დაშორებით იმ ადგილიდან, საიდანაც მანქანა გადავარდა, გამოჩნდა ხუჭუჭთმიანი თავი.

ყველა რაღაცას მოელოდა, მაგრამ თავი არ მოძრაობდა. შემდეგ კვლავ ჩაძირვა იწყო, ახლა იდაყვი გამოჩნდა.

— მიეხმარეთ, იძირება!—დაიღრიალა ჩახრინწული ხმით ბრიგადირმა. მუკფი, ბარეკი და კიდევ რამდენიმე კაცი წყალში გადახტა და ჩაძირვა არ დაეცალეს.

— ორივე, ორივე!—დაიყვირეს მათ და ნაპირისკენ გამოსწიეს გულწასული ალი, რომელსაც მაგრად ჩაეკვლო ხელი გაგუდული დოკერისათვის...

სასწრაფო დახმარების მანქანა ღმუილით მიაქროლებდა ცოცხალმკვდარ დოკერსა და უილაჯოდ მკვნესარე ალის.

— არა უჭირს რა, ერთ კვირაში გაუვლის!—აწყნარებდა მანქანაში მტირალ მუკფისა და ბარეკს მოხუცი ექიმი!— ოღონდ მოხსენით აი, ეს, კისერზე რომ ჰკიდია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ შეიძლება!—ერთდროულად უპასუხეს მუკფიმ და ბარეკმა.—ეგ ზვიგენის კბილია, მაგან რომ მოკლა!

ექიმმა სათვალე გაისწორა და გაოცებით დახედა ალის ფერმკრთალ სახეს.

ქალაქის საავადმყოფოში, სადაც დოკერი მოათავსეს, ალი არ მიიღეს, რადგან არაბი იყო. მანქანამ ის უფრო შორს, ქალაქის განაპირას არაბთა ჰოსპიტალში წაიყვანა.

საღამოთი, მუშაობის დამთავრების შემდეგ, საავადმყოფოს წინ მთელი ქუჩა ხალხით იყო სავსე. დოკერები, შოფრები, მეზღვაურები საჩუქრებით შედიოდნენ ალისთან, ორიოდე გამამხნევებელ სიტყვას ეტყოდნენ, ალერსით გაუღიმებდნენ და მიდიოდნენ. სასთუმალთან ჩამომსხდარი დედა, მუკფი და ბარეკი გაოცდნენ, როდესაც მისულთა შორის ევროპელებიც დაინახეს.

მეორე დღეს მნახველები უფრო მეტი იყო და ალიმ გაიგო, რომ დოკერი გადარჩა.

მესამე დღეს, დილით, როდესაც ალი სულ მარტო იყო, სანიტარმა ორი კარგად ჩაცმული წარმოსადეგი კაცი მიუყვანა. ჩაიწერეს ალის გვარი და სახელი, საცხოვრებელი ადგილი, გამოჰკითხეს, გააჩნია თუ არა მის მშობლებს უძრავი და მოძრავი ქონება და ბოლოს გაეცვნენ: პირველი—გემთა კომპანიის წარმომადგენელი იყო, მეორე კი—სადაზღვევო კომპანიის აგენტი.

— თქვენს მიერ ზღვაში დაკარგული მოტორის ფასი 1500 ფრანკს უდრის.—პირველად თავის სიცოცხლეში ალის თქვენობით მიმართეს.

— შენ, ან შენმა მეგობრებმა უნდა გადიხადოთ, თორემ საქმე სასამართლოს გადაეცემა.—დაემუქრა მეორე.

— ამდენი ფული საიდან უნდა ვიშოვნო?—ამოილუღლუღა ალიმ.

— სამწუხაროდ ეგ დეტალები ჩვენ არ გვეხება!—თავაზიანად გაუღიმა პირველმა და ორივე წავიდა.

დიდხანს ფიქრობდა ალი ერთ წერტილზე თვალმიშტერებული, შემდეგ სანიტარს მოუხმო და ჰკითხა, წერა-კითხვა თუ იცი.

* * *

ერთი საათიც არ იყო გასული და პორტში გაიგეს, რომ ალის ფულს სთხოვდნენ. საღამოს პორტიდან საავადმყოფოში გასწია დიდმა დელეგაციამ. მუშებს ალისთვის იმდენი ფული მოეგროვებინათ, რომ ხუთი მოტორის ყიდვა შეეძლებოდა.

გაწითლებული და კმაყოფილი წარმომადგენლები პალატაში შევიდნენ, მაგრამ ალის საწოლი ცარიელი იყო. საწოლის გვერდით სანიტარი უკვე მეათედ უკითხავდა სახეგამშრალ დედას, მუკფის და ბარეკს ალის ნაკარნახევ წერილს.

«ძვირფასო დედა, მუკფი და ბარეკ!

მე ფაკირთან მივდივარ. მოტორის საფასური რომ არ გადავიხადო, ციხეში ჩამსვამენ, მე ამისი არ მეშინია! მაგრამ რა ეშველებათ ფატმას და ბრაგიმს. გამხნევდით ყველაფერი კარგად იქნება! მალე ხმას მოგაწვდენთ!»

ხელმოწერის ნაცვლად დიდი ჯვარი იყო დასმული.

ბერი და მოსწავლე

ჩინური ზღაპარი

ერთი ბერი სკოლაში ასწავლიდა ბავშვებს. ყველაზე მეტად ამ ქვეყნად ჭამა და ძილი უყვარდა. ყოველთვის, სკოლაში წასვლამდე ისე გაძღებოდა, რომ ძლივს ინძრეოდა.

როგორც კი სკოლაში მოვიდოდა, ბურანში ეხვეოდა და იძინებდა მანამდე, ვიდრე ზარი არ ამცნობდა გაკვეთილის დამთავრებას.

მოსწავლეებს შორის ერთი დარიბის შვილი სწავლობდა, სახელად ლი. ერთხელ ლიმ მიმართა ბერს:

— უპატივცემულესო მასწავლებელო! თავს ნებას ვაძლევ შეგეკითხოთ, რატომ ეძინავთ ყველა გაკვეთილზე?

— ჩემო მეგობარო!—ყოველგვარი უხერხულობის გარეშე უპასუხა ბერმა,—ეს მხოლოდ გეჩვენება, რომ მძინავს, ნამდვილად კი იმ წუთებში მე ბუდასთან ვარ და მის სიბრძნეს ვისმენ. ამიტომ ვკდილობ რაც შეიძლება მეტი ვიძინო.

ერთხელ ლი თავის ავადმყოფ მამას მთელი ღამის განმავლობაში უვლიდა, დილით, სკოლაში რომ მოვიდა, გაკვეთილზე ისე მაგრად ჩაეძინა, რომ ზარის ხმა არ გაუგონია, რომელმაც ბერიც კი გამოაღვიძა.

როგორც კი ბერმა მძინარე მოსწავლე შენიშნა, გაცოფდა, მივარდა ლის, ყურში ხელი ჩასჭიდა და დაიყვირა:

— ახ, შე კუს კვერცხო! როგორ გაბედე ჩემს გაკვეთილზე დაძინება?!

— ბატონო მასწავლებელო,—წარმოთქვა ლიმ,—კი არ მეძინა, ბუდასთან ვიყავი და მის სიბრძნეს ვისმენდი.

— მერე, რაო, რა გითხრა ყოვლისშემძლე ბუდამ?

— ყოვლისშემძლე ბუდამ მითხრა: „ჩემს ცხოვრებაში არასოდეს შენი მასწავლებელი არ მინახავსო“.

თარგმნა თ. მთვარელიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშების დახვრეტა მეფის ჯარების მიერ სასახლის მოედანზე პეტერბურგში, 1905 წლის 9 იანვარს.

1905

ორმოცდაათი წლის წინათ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის მეთაურობით პირველად მიიტანეს მძლავრი იერიში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1905 წლის იანვარში აზვირთებული რევოლუცია თითქმის ორი წლის განმავლობაში მძაფრად ბობოქრობდა. ყველა ზომას მიმართეს მეფემ და მისმა დამქაშებმა რევოლუციის ჩასაქრობად.

ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დახმარებით მეფის მთავრობამ მოახერხა ხალხისათვის ანგარიში გაეწორებინა. რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მას უშედეგოდ არ ჩაუვლია, რადგან პროლეტარიატმა და გლეხობამ განვლო თავისუფლებისათვის ბრძოლის მკაცრი სკოლა, უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები, ისწავლა ნამდვილი მტრებისა და მოყვარეების გარჩევა. ეს იყო გენერალური რეპეტიცია, რომლის შემდეგ მასები მეტი ნდობით გაჰყვნენ კომუნისტურ პარტიას და მისი ხელმძღვანელობით 1917 წელს შესძლო გადამწყვეტი გამარჯვების მოპოება.

* * *

მეოცე საუკუნე მეტად მძიმე ვითარებაში დაიწყო მშრომელი კლასებისათვის. რუსეთს მოედო მძიმე სამრეწველო კრიზისი, რომელმაც გამოიწვია წარმოების შემცირება და ასი ათასობით პროლეტარი ქუჩებში გამოჰყარა ულუკმაპუროდ. სამრეწველო კრიზისს ზედ დაერთო საშინელი მოუსავლიანობა, რამაც დაამშია მილიონობით გლეხობა. კაპიტალისტებმა პროლეტარიატის ექსპლოატაცია კიდევ უფრო გააძლიერეს. სამუშაო დღე 14-16 საათამდე გაიზარდა. ხელფასი შემცირდა. მემამულეები, მიუხედავად მოუსავლიანობისა, გლეხებისაგან ძველებურად მოითხოვდნენ გადასახადებს. სოფლის წურბელა მოხელეები და მღვდლები სისხლს წოვდნენ გლეხებს. თუ ვინმე ხმას ამოიღებდა ამ უხეში ძალადობის წინააღმდეგ, მას მათრახი და ციხე ელოდა...

მაგრამ განაწამებ მუშებსა და გლეხებს, რომელთაც თავისუფლება და ადამიანური ცხოვრება სწყუროდათ, აღარ აშინებდათ მთავრობის მუქარა და მათრახები... მემამულურ კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც მშრომელებმა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიწყეს, თანდათანობით ძლიერდებოდა. მუშათა გაფიცვები ორგანიზებულ ხასიათს იღებდა და ხშირად საბარიკადო ბრძოლებში გადადიოდა: 1901—1903 წლებში მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში, ბაქოში, თბილისში, ბათუმში და რუსეთის სხვა ქალაქებში მოეწყო დემონსტრაციები, სადაც მუშებმა გაბედულად წამოაყენეს თვითმპყრობელობის დამხობის ლოზუნგი. მუშებს გლეხებიც არ ჩამორჩნენ. გლეხთა რევოლუციური რაზმები რუსეთის შიდა გუბერნიებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში სპობდნენ მემამულეთა სახლ-კარს, ეპატრონებოდნენ მათს მიწებს, მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის დამხობას, მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევას და გლეხებისათვის გადაცემას.

ამ დროს რუსეთში მრავალი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტია არსებობდა. ყველა ისინი თავიანთ თავს მშრომელთა ინტერესების დამცველად აცხადებდნენ. მაგრამ ნამდვილად ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდნენ მშრომელებს და ფარულად უწყობდნენ ხელს მემამულეებსა და კაპიტალისტებს ხალხის ჩაგვრაში.

ერთადერთი პარტია, რომელიც პროლეტარიატის და გლეხობის განთავისუფლებისათვის იბრძოდა, იყო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია. ეს პარტია რუსეთში დაუცხრომელი ბრძოლის პირობებში შექმნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. კომუნისტური პარტია რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობას ასწავლიდა რომ, ვიდრე ქვეყნად მეფე, მემამულეები და კაპიტალისტები იარსებებენ, მშრომელი ხალხის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, რომ თავისუფლების მოპოვება შეიძლება მხოლოდ ექსპლოატატორული რეჟიმის დამხობით და ხალხის მმართველობის დამყარებით.

* * *

1904 წელს მეფის რუსეთს თავს დაესხა იაპონია. გაჩაღდა რუსეთ-იაპონიის ომი. თითოეული მხარე ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებას ცდილობდა. ეს ომი ორთავე მხარივ უსამართლო, დამპყრობელური ომი იყო და მშრომელთა ინტერესებს სრულებითაც არ უპასუხებდა. მეფის მთავრობა, ომი რომ წამოიწყო, ფიქრობდა, ადვილად მოიპოვებდა გამარჯვებას და რევოლუციურად განწყობილი ხალხის ყურადღებას საგარეო ამბებზე გადაიტანდა. მაგრამ ასე როდი გამოვიდა. იაპონიას ფარულად ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები ეხმარებოდნენ. რუსეთი მარცხდებოდა, ომმა კიდევ უფრო გააუარესა მშრომელთა მდგომარეობა, გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა, ხელი შეუწყო რევოლუციის მომწიფებას.

1905 წლის დამდეგს, პეტერბურგში, პუტილოვის ქარხნის მუშები გაიფიცნენ. ქალაქში მეტად დაძაბული მდგომარეობა იყო. ყველგან მუშების აჯანყებაზე ლაპარაკობდნენ. თვითმპყრობელობა შეშინდა. მან გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ჩაექრო აჯანყების ნაპერწკალი. აამუშავა ჯაშუშთა აპარატი. ერთ-ერთი გამოცდილი ჯაშუში მღვდელი გაპონი გაფიცულ მუშებს მოელაპარაკა მეფისათვის თხოვნა მიერთმიათ. მუშებს ჯერ კიდევ აკლდათ შეგნება. მათ გაპონს დაუჯერეს. 9 იანვარს დილით 140 ათასზე მეტი კაცი, ქალი, ბავშვი და მოხუცი დროშებითა და სიმღერებით გაემართა ზამთრის სასახლისაკენ, სადაც მეფე ცხოვრობდა. მუშებს მეფესთან მიჰქონდათ თხოვნა მათი მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

მეფემ ზამთრის სასახლესთან ჯარები მოამზადა. როცა მშვიდობიანი დემონსტრაცია სასახლეს მიუახლოვდა, გაისმა ტყვიამფრქვევებისა და თოფების ხმა. მოედანი სისხლით შეიღება. კვნესა, წივილ-კივილი, მუქარა, წყევლა-კრულვა ისმოდა ყველგან. მოკლულ იქნა ათასზე მეტი, დაიჭრა ხუთასი. ასე გაუმასპინძლდა მეფე თავის ხალხს, რომელიც მას შველას თხოვდა.

უდანაშაულო და უიარაღო ხალხის მხეცურმა დახვრეტამ მთელს რუსეთში მშრომელთა უმაგალითო რისხვა გამოიწვია. თუ აქამდე შეუგნებელ მუშებს მეფისადმი რწმენა ჰქონდათ, ამიერიდან ეს რწმენა საბოლოოდ გაქრა. მუშებმა 9 იანვარს „სისხლიანი კვირა“ შეარქვეს. ეს მართლაც სისხლიანი გაკვეთილი იყო, რომელმაც ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლის აუცილებლობა უკარნახა.

„სისხლიანი კვირა“ 1905 წლის სახალხო რევოლუციის დასაწყისი გახდა. მთელს რუსეთში იფეთქა საპროტესტო გაფიცვებმა. მუშებმა წამოაყენეს თვითმპყრობელობის დამხობის ლოზუნგი. კომუნისტურმა პარტიამ პროლეტარიატს და გლეხობას თავისი საბრძოლო დროშის ქვეშ მოუწოდა.

9 იანვრს თავის საბრძოლო პოსტზე შეხვდა საქართველოს პროლეტარიატი, რომლის რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ედგა დიდი ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. 18 იანვარს თბილისის პროლეტარიატმა გრანდიოზული გაფიცვა მოაწყო. ბოლშევიკურმა პროკლამაციებმა ხალხს ბარიკადებისაკენ მოუწოდეს. მუშებთან ერთად გლეხობამაც აიხსა იარაღი. საქართველოს სოფლებში გლეხობამ მემამულური რეჟიმზე მძაფრი იერიშები მიიტანა.

1905 წლის იანვრის შემდეგ რევოლუციური მოძრაობა მთელს რუსეთში აღმავალი გზით წარიმართა და მწვავე პოლიტიკური ხასიათი მიიღო. გაფიცვებს და დემონსტრაციებს ძთელ რიგ ქალაქებში თან სდევდა პოლიციასთან და ჯარებთან შეტაკებანი. ორთვენსახვრის განმავლობაში გრძელდებოდა მუშათა გაფიცვა ივანოვო-ვოზნესენსკში. გაფიცული მუშები მართავდნენ ბიტინგებს, აყენებდნენ საჭირბოროტო საკითხებს, მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციისა და მთავრობის ჯარებს. ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებმა გაფიცვის დღეებში შექმნეს რწმუნებულთა საბჭო, რომელიც ფაქტიურად იყო მუშათა დეპუტატების ერთ-ერთი პირველი საბჭო რუსეთში.

მუშათა რევოლუციურ ბრძოლას აქტიურად დაუჭირა მხარი გლეხობამ. გლეხები დიდ მასებად ილაშქრებდნენ მემამულეებისა და სოფლის მოხელეების წინააღმდეგ, ცეცხლს უკიდებდნენ მათ სასახლეებსა და კარმიდამოს, ხელთ იგდებდნენ მათ მიწებს, სურსათსანოვაგეს და ინაწილებდნენ.

გლეხთა რევოლუციურმა ბრძოლამ განსაკუთრებით მძლავრი გაქანება საქართველოში ჰპოვა. ბოლშევიკური პარტიის მგზნებარე მოწოდებებმა მასობრივად გაიყოლია გლეხკაცობა. სოფელში პირზე ყველას „ერთობა“ ეკერა. იმართებოდა კრებები, ყალიბდებოდა გლეხთა წითელი შეიარაღებული რაზმები. გლეხებმა უარი თქვეს მემამულეთა გადასახადებზე, სოფლებიდან განდევნეს მთავრობის მოხელეები და თავიანთი მმართველობა დაწესეს. გლეხები კრებებზე საჯაროდ ლაპარაკობდნენ თავიანთ გაჭირვებაზე, მემამულეთა მტაცებლობაზე, მთავრობის მოხელეთა უსინდისობაზე, მღვდლების წამგლეჯობაზე. გლეხებმა მოითხოვეს სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, პოლიტიკური პარტიების თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, სასამართლოს არჩევითობა, საყოველთაო-სავალდებულო უფასო სწავლების შემოღება და სხვ.

პროლეტარიატისა და გლეხობის მძლავრმა რევოლუციურმა ბრძოლამ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდობაზე. საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომელთაც სულს უხუთავდა მთავრობის მიერ სკოლაში დაწესებული პოლიტიკური რეჟიმი, ახლა ბრძოლა გააჩაღეს თავიანთი უფლებების დასაცავად. თბილისის, ბათუმის, გორის ჭაბუკი მოსწავლეები მტკიცედ დადგნენ თავიანთი მამების გვერდით. 20—24 იანვარს ქუთაისში გამართულ პოლიტიკურ დემონსტრაციაში მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. თებერვალში ქუთაისის მოსწავლე ვაჟებმა ქვები დაუშინეს კაზაკებს, რომლებიც მათრახებით დათარეშობდნენ ქუჩებში.

მოსწავლეთა მამაცური ბრძოლების აქტიური მონაწილე იყო ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელიც შემდეგ იგონებდა: „მუშათა დემონსტრაციის დღეებში 1905 წელს მე, 11 წლის ბავშვი, ქუთაისის ქუჩებში დავრბოდი და ქართული რევოლუციური სიმღერების სიტყვებს გავყვიროდი“.

ხალხს რომ ებრძოდა, მეფის მთავრობა მთელ იმედებს თავის არმიასა და ფლოტზე ამყარებდა. მაგრამ ჯარისკაცებსა და მატროსებში, რომლებიც ფარაჯაგადაცმული მუშები და გლეხები იყვნენ, შეაღწია რევოლუციის ნაპერწკალმა. განსაკუთრებით ძაძლიერდა რევოლუციური განწყობილება სამხედრო ფლოტში. იფეთქა აჯანყებამ ჯავშნოსანი „პოტიომკინზე“. მძლავრ რევოლუციურ გამოსვლას ადგილი ჰქონდა კრონშტანდტში.

რევოლუციის მთელ მანძილზე მუშათა კლასისა და გლეხობის შეუპოვარ ბრძოლებს სათავეში ედგა ბოლშევიკური პარტია. პარტიის III ყრილობამ, რომელიც 1905 წლის აპრილ — მაისში გაიმართა, შეიმუშავა რევოლუციის ხელმძღვანელობის პროგრამა. რევოლუციის გამარჯვების აუცილებელ პირობად ლენინი და ბოლშევიკური პარტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლიდნენ შეიარაღებულ აჯანყებას, და მასებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშებისათვის ამზადებდნენ.

შემოდგომა რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობით აღინიშნა. ოქტომბერში მოსკოველი მუშების ინიციატივით დაიწყო პოლიტიკური გაფიცვა, რაც მალე სრულიად რუსეთის საყოველთაო გრანდიოზულ პოლიტიკურ გაფიცვად იქცა. თითქოს ცხოვრება შეწყდაო: გაჩერდნენ მატარებლები, ფოსტა-ტელეგრაფმა და წყალსადენმა შეწყვიტა მუშაობა. მთავრობას დამბლა დაეცა. შეშინებულმა მეფემ, მინისტრების რჩევით, გამოსცა მანიფესტი; მანიფესტში იგი ხალხს შეპირდა საარჩევნო უფლებას, სიტყვის, კრების, კავშირების თავისუფლებას. ბურჟუაზიული პარტიები აღტაცებაში მოვიდნენ. რევოლუცია დამთავრებულად გამოაცხადეს მენშევიკებმაც. ბოლშევიკებმა კი იცოდნენ, რომ მეფე თვალთმაქცობდა და ამ მცირე დაპირებებს რომ იძლეოდა, ცდილობდა დრო მოეგო, ხოლო შემდეგ წაეხრჩო რევოლუცია. ბოლშევიკებმა მუშებს და გლეხებს მოუწოდეს არ შეეწყვიტათ ბრძოლა, არ დანდობოდნენ მეფის დაპირებებს, პირიქით, ახლა, როცა უჭირდა თვითმპყრობელობას, მიეტანათ მასზე გადამწყვეტი იერიში და დაემხოთ იგი.

ბოლშევიკებმა ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით მუშები შეიარაღებული აჯანყებისათვის მოამზადეს. მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით დეკემბრის პირველ რიცხვებში მოსკოვში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რაც მალე აჯანყებაში გადაიზარდა. მუშათა რაზმებმა აღმართეს ბარიკადები — ქუჩები ჩახერგეს ტელეგრაფის ბოძებით, ყუთებით, მარსილებით, კასრებით. შენობების, ეკლესიის სახურავებზე ტყვიამფრქვევები დადგეს. მთავრობამ აჯანყების ჩასაქრობად დიდ ძალებს მოუყარა თავი. 9 დღის განმავლობაში სწარმოებდა შეუპოვარი ბრძოლა. აჯანყებულთა მთავარი ციხე-სიმაგრე იყო კრასნაია პრესნიას რაიონი. მამაცურად უმკლავდებოდნენ მუშები მეფის ჭარბ ძალებს, როცა გამარჯვების ყოველგვარი შესაძლებლობა ამოიწურა, მუშათა დეპუტატების საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება აჯანყების შეწყვეტის შესახებ. რკინიგზელმა მუშებმა რაზმის ნარჩენები ალყიდან გაიყვანეს.

დეკემბერი 1905 წლის რევოლუციის განვითარების ყველაზე მაღალ ეტაპს წარმოადგენდა. შეიარაღებულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა რუსეთის მრავალ ქალაქსა და ოლქში. ბარიკადებზე იდგნენ სევასტოპოლისა და კრონშტადტის მატროსები, ნოვოსიბირსკის, კრასნოიარსკის, ნოვოროსიისკის, სორმოვოს, ვარშავის მუშები. სოფელს აგრარული რევოლუციის ხანძარი ჰქონდა მოდებული.

შეიარაღებულ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროლეტარიატმა და გლეხობამ. ი. ბ. სტალინის მეთაურობით ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მძლავრი იერიშები მიიტანეს მთავრობის ძალებზე. ნოემბრის ბოლო რიცხვებში მეფის არმიასთან სისხლისმღვრელ შეტაკებებს ადგილი ჰქონდა ქუთაისში, ბათუმში. თბილისში მთავრობამ სამხედრო წესები გამოაცხადა. დეკემბერში ნაძალადევის და დიდუბის რაიონები ეკავა მუშათა რაზმებს, რომლებიც ჯარების შემოტევისაგან თავიანთ უბნებს გმირულად იცავდნენ. 18 დეკემბერს ნაძალადევში გაიმართა ბრძოლა აჯანყებულებსა და მეფის ჯარებს შორის. მუშები გმირულად იცავდნენ თავს ჯარებისაგან, რომლებიც ამ შეტაკებაში არტილერიის ცეცხლსაც იყენებდნენ. ამ უთანასწორო ბრძოლას მუშათა რაზმი გმირულად შეეწირა. აჯანყების ალი მოედო გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრებს. გურიის გლეხობამ ნასაკირალთან მთავრობის ჯარებზე მოაწყო გმირული თავდასხმა და გამარჯვება მოიპოვა. ბათუმის დაცვაში, ქალაქებში, ქუთაისის, შორაპნის მაზრებში გლეხთა წითელი რაზმები შიშის ზარს სცემდნენ მთავრობას.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მეფის მთავრობა თანდათან გადავიდა შეტევაზე და მოახერხა აჯანყების კერების ჩაქრობა მთელ რუსეთში. მართალია, 1906 წლის განმავლობაში მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა ისევ გრძელდებოდა, მაგრამ მას ისეთი მედგარი და შეტევითი ხასიათი აღარა ჰქონია, როგორც 1905 წელს.

რამ გამოიწვია რევოლუციის დამარცხება? იგი გამოიწვია მუშათა კლასისა და გლეხობას შორის მტკიცე საბრძოლო კავშირის არარსებობამ. მუშები და გლეხები უფრო ხშირად ცალცალკე, შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. აჯანყება საყოველთაო, ერთიან ხასიათს არ ატარებდა და მეფეს თავისი ძალების მანევრირების საშუალება ეძლეოდა. მუშათა შორისაც ყველა როდი იყო მაღალი პოლიტიკური შეგნებით განმსჭვალული. ჩამორჩენილი მუშები უჯერებდნენ მენშევიკებს, რომელთაც თავი ხალხის მოსარჩლედ მოჰქონდათ, სინამდვილეში კი ხალხს ატყუებდნენ. მოისუსტებდა რევოლუციური მოძრაობა მეფის არმიაში. ამავე დროს მეფემ დაამთავრა ომი იაპონიასთან და მასთან ზავის დადების შემდეგ ჯარისკაცები რუსეთის აჯანყებულ ქალაქებს და სოფლებს მიუსია. მეფის მთავრობას რევოლუციის ჩაქრობაში დიდი დახმარება გაუწიეს ევროპის იმპერიალისტურმა ქვეყნებმა. მათ დიდძალი ხესხი მისცეს მთავრობას.

რევოლუცია რომ დაამარცხა, მეფის მთავრობა შეუდგა მუშებისა და გლეხების დასჯას. ამუშავდა საველე სასამართლოები. სახრჩობელაზე დაჰკიდეს მრავალი შეუპოვარი რევოლუციონერი. ათასობით მუშა და გლეხი ციმბირში გაგზავნეს ბორკილებგაყრილი. აჯანყებულთა მიმართ მხეცური სისასტიკით გამოირჩეოდა თვითმპყრობელობის ერგული მინისტრი სტოლიპინი. 1905—1907 წლების რევოლუციის ხანას, ვიდრე რევოლუციური მოძრაობა აღმავლობას დაიწყებდა, სტოლიპინის რეაქციის პერიოდი ეწოდა.

მართალია, 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მას უშედეგოდ არ ჩაუვლია. იგი რუსეთის მშრომელი კლასების დიდი საბრძოლო სკოლა გახდა. ბოლშევიკურმა პარტიამ რევოლუციის შემდეგ უზრუნველჰყო მასების ორგანიზებული უკანდახევა და ისინი ახალი, უფრო მძლავრი იერიშისათვის შეამზადა.

რუსეთის პირველ რევოლუციას ჰქონდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. რევოლუციის ტალღები შორს გასცდა რუსეთის იმპერიის ფარგლებს. მან მოძრაობაში მოიყვანა გერმანიის, ავსტრიის, თურქეთის, ჩინეთის და ირანის მშრომელები. რუსეთის რევოლუციის მძლავრმა გაქანებამ მსოფლიოს მუშათა მასებს საკუთარი თავისადმი რწმენა და გამარჯვების იმედები ჩაუნერგა.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლა განთავისუფლებისათვის არ შეწყვეტილა. მათ მამაცურად გადაიტანეს რეაქციის სუსხი, ძალლონე მოიკრიბეს და ისევ შეუტიეს ექსპლოატატორული სისტემის ბურჯებს. 1905 წლის რევოლუციიდან სულ რაღაც 12 წლის შემდეგ პროლეტარიატმა და გლეხობამ გადამწყვეტი იერიშები მიიტანა თვითმპყრობელობაზე და დაამხო იგი. 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კი ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ გაათავისუფლა მემამულეებისა და კაპიტალისტების ჩაგვრისაგან და სოციალიზმის ნათელი მზე დაამკვიდრა.

დოცენტი **აკაკი სურგულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა საბჭოთა პასპორტზე

მე ბიუროკრატიზმს
მგელივით
დავხრავდი.
მანდატებს ხომ პატივს
არა ვცემ სრულიად.
ეშმაკმა წაიღოს
ყოველი ქაღალდი
და ისიც, ვინც მისი
მტვრის მოყვარულია;
ამას კი...
ვაგონში
მოძრაობს
მოხელე
და თავაზიანი
პასპორტებს ამოწმებს.
ვიდრემდე მკითხავდეს:
საიდან მოხვედი?
მეც წიგნაკს
ალისფერს
ჯიბიდან ამოვწევ.
ზოგიერთ პასპორტს რომ
ღიმილით ხვდებიან,
ზოგს ფურთხის ღირსადაც
არ თვლიან, მგონია.
ინგლისურს ნახავენ
და გაბრწყინდებიან,—
ორთავა ლომების
პატივი ჰქონიათ;
როცა ამერიკელს
ამოაქვს პასპორტი,
დგებიან,
თვალებში
უელავთ ვარსკვლავი.
და ისე იღებენ,
ისეთი მადლობით,
თითქოსდა
აჩუქეს მათ გადასაკრავი;
პოლონურს უმზერენ,
როგორც თხა—აფიშას,
უკვირთ და ფიქრობენ:
საიდან?
რას ნიშნავს
ამ გეოგრაფიულ
სიახლის გაჩენა?
თუ გაჩნდა,
რუკაზე
როდემდის
დარჩება?
ისე, რომ
სქელ გოგრებს
არც მიაბრუნებენ,
ისე, რომ
სრულიად არაფერს
არ გრძნობენ,
იღებენ დანიის პასპორტებს,
უვნებელთ,
და კიდევ
მრავალგვარ შვედების
პასპორტებს.
და უცებ,
თითქოსდა
დათუთქა მდუღარემ,
ბატონი მოხელე
შეირხა
მწუხარედ,
სახე მოეღრიცა.
გაშავდა,
გახევდა,
როდესაც
ჩემს
წითელ
პასპორტს
დახედა.
ჰაღლო, ვით ბომბი,
ვით ზღარბი ტიალი,
ვით სამართებელი,
ორივ მხრივ ნალესი,
ვით გველი
ოცთავა და ორმეტრიანი,
რომელსაც
სიკვდილი
უელავს თვალებში!
მზიდველმა მაშინვე
იდუმალ მანიშნა:
— შენ, ძმაო,
მუქთადაც
წაგიღებ ჩემოდანს...
ჟანდარმი უმზერდა
მაძებარს თავისას,
ჯაშუში კი ჟანდარმს
უმზერდა ქვეშოდან.
როგორი ხალისით
და სიამოვნებით,
მყის ფეხქვეშ გამსრესდა
დასი ამ მონების,
მისთვის, რომ
ხელში მაქვს
პასპორტი ამგვარი
და მიყვარს მე მისი
ჩაქუჩი, ნამგალი!
მე ბიუროკრატიზმს
მგელივით
დავხრავდი.
მანდატებს ხომ პატივს
არა ვცემ სრულიად.
ეშმაკმა წაიღოს
ყოველი ქაღალდი
და ყველა, ვინც მისი
მტვრის მოყვარულია;
ამას კი...
ჯიბიდან,
ვით ძვირფას საუნჯეს,
ვიღებ და ვგუგუნებ
კვლავ
ხელებგაშლილი,
იკითხეთ
და
გშურდეთ,
მე ვარ მოქალაქე
საბჭოთა კავშირის!

თარგმნა ხუტა ბერულავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ქუმსიშვილი

ნახ. ალ. ვეფხვაძისა

ბურბუშელა

შეებულებას სოფელში ვატარებდი. შემოდგომა იდგა...რომ იტყვიან, სულით და ხორცით ვისვენებდი. აქ, მშობლიურ სოფელში, სადაც დავიბადე და ჩემი უდარდელი ბავშვობა გავატარე, ყველაფერი ახარებდა თვალსა და გულს. შემოდგომა! რა შეიძლება შემოდგომაზე უკეთესი იყოს მშობლიურ სოფელში! გასაშრობად გამოკიდული ჩურჩხელები, ნაირნაირი ჩირის ასხმულები და ყურძნის აკიდოები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს სახლებს გული გაუხსნიათ და მზეს უცინიანო. საკარმიდამო ნაკვეთში ნაყოფისაგან დამძიმებული, წითელ-ყვითლად შეფერადებული ვაშლის ხეები დარბაისლურად თავდახრილი დგანან. ჰაერი გრილია და გამჭვირვალე. გზაზე კოლმეურნეობის მანქანები დაჰქრიან და დოვლათით დატვირთული ურმები ჭრიალებენ. რამდენიმე წელიწადია არა ვყოფილვარ სოფელში და როგორ გამოცვლილა, ვერც კი ვიცანი. ვიწრო ორღობის მაგივრად ისეთი გზა გაუყვანიათ, რომ დედაქალაქის პროსპექტი გეგონებათ. სოფლის ბოლოში ელექტროსადგურის ლამაზი შენობა წამოჭიმულა.

ქუჩის გადაღმა, ჩვენი სახლის პირდაპირ, მეზობელს ძველი, ნახევრად მიწური შენობა დაუნგრევია და ორსართულიანი სახლი დაუდგამს. აი, დღესაც დურგლები მოუყვანია და შუაბანდისათვის ჩარჩოებს აკეთებინებს. შალაშინები გამოცდილ ხელებში ხალისიანად მისდევენ ფეჭვის ფიცრებს და თეთრი ბურბუშელის გრძელი ხვეულები შრიალით ცვივიან მიწაზე. შემოდგომის სურნელებას ფიჭვის სასიამოვნო სუნი ემატება. ჩემს მეზობელს ორი პატარა ბიჭუნა ჰყავს. ისინი პატარა ლეკვებივით გორაობენ ზვინად დამდგარ ბურბუშელაში. რა ბედნიერებით, რა კმაყოფილებით ბრწყინავენ მათი მკვირცხლი თვალები! ყიჟინით ხვდებიან ბურბუშელის ყოველ ახალ ხვეულს, ხელიდან სტაცებენ ერთმანეთს. ხან ქამარივით წელზე შემოირტყავენ, ხან კიდევ მხარიღლივ, ხან კი მიწაზე ნებიერად გაწოლილ პატარა კატის კნუტს აღიზიანებენ და სათამაშოდ იწვევენ. გალაღებული ბავშვების ბედნიერებას საზღვარი არა აქვს...

კარგა ხანი ვუყურე მათ და ერთი ამბავი მომაგონდა, გული შემეკუმშა, ცრემლები ყელში მომებჯინა.

ეს ძველი ამბავი იყო, მაგრამ ამ პატარა ბავშვებმა და იმ ბურბუშელამ გამახსენა...

დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენი ნაწილი ირანში იდგა და სწორედ ამ ათიოდე წლის წინ იქ მომხდარი და ნანახი აჰბავი ჩემს მეხსიერებაში ისე გამოცოცხლდა, თითქოს გუშინ მომხდარიყოს... თვალწინ დამიდგა ნახევრად დანგრეული ფარდული, რომელშიც ახალგაზრდა ქვრივი ქალის ჰაბიბეს ოჯახი ცხოვრობდა...

ცივი, სუსხიანი ზამთარი იყო. თებერვლის გამყინავი ქარი რამდენიმე კვირა თარეშობდა. ვინც კარგ ბინებში ცხოვრობდა და შეშაც ჰქონდა მომარაგებული, იმათაც კი უჭირდათ სიცივის ატანა და ჰაბიბეს ოჯახი ხომ უკიდურეს გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. ზაფხულში სოფლიდან თეირანში ჩამოიყვანა ქმარმა ჰაბიბე თავისი ორი ბავშვით და დედით. სოფელში შიმშილით სიკვდილს ქალაქში ყოფნა ამჯობინა ფარჰადმა. ძალიან ეძნელებოდა თავისი ნახევრად დანგრეული ქოხის მიტოვება, მაგრამ რა ექნა! გვალვამ პატარა ნაკვეთზე დათესილი,

ჯერ კიდევ ახალწამოზრდილი სიმინდი ისე გაახმო, რომ ჩალადაც არ ივარგებდა. აქ კი, ქალაქში, ფარჰადს იმედი ჰქონდა, სამუშაოს იშოვიდა და როგორმე გამოკვებავდა ცოლ-შვილსა და მოხუც დედას.

ფარჰადს, რომ იტყვიან, ბედმა გაუღიმა. უზარმაზარ სახლში ცეცხლფარეშად მოეწყო სამუშაოდ. სახლის ეზოში პატარა ხის ფარდული მისცეს, სადაც ცოლ-შვილით დაიწყო ცხოვრება. მაგრამ ნათქვამია: საწყალ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო. ერთი კვირაც არ გასულიყო, რაც მუშაობა დაიწყო ფარჰადმა, უეცრად გაცივდა და სიცხე მისცა. გახურებულ ღუმელთან ცხელოდა. გარეთ კი სუსხიანი ქარი უბერავდა, ფარჰადი დრო და დრო გარეთ გამოდიოდა, რომ გახურებული მკერდი ცივ ქარისათვის შეეშვირა გასაგრილებლად. მეორე დღეს ფარჰადი ლოგინიდან ვეღარ ადგა. მთელი დღე სიცხე ჰქონდა და აბოდებდა.

— ღუმელი გაანელეთ, ვიწვი, ვიწვი! — იხვეწებოდა გონებადაკარგული ფარჰადი, ერთი კვირა უგონოდ იყო და შაბათ საღამოს სული დალია. მეზობლებმა სამადლოდ დამარხეს, რადგან საწყალ ჰაბიბეს მეორე დღისათვის პურის საყიდელი ფულიც არ ჰქონდა. ასე დაქვრივდა ჰაბიბე და ორი მცირეწლოვანი ბავშვისა და მოხუცი დედის ამარა უცხო ქალაქში მარტოდმარტო აღმოჩნდა. წინ კი ცივი და სუსხიანი ზამთარი იყო. შეშა არა ჰქონდა. ფარდულში კი უფრო ცივოდა, ვიდრე გარეთ. ჰაბიბემ ხელზემოსამსახურედ დაიწყო მუშაობა, მოხუცი ქალი კი მთელი დღე აქეთ-იქით დაწანწალებდა, ნაფოტებს და ხის პატარა ნაჭრებს აგროვებდა ნაგვის გადასაყრელ ადგილებზე, სახლში მიჰქონდა და სიცივისაგან გალურჯებულ ბავშკებს ცოტათი მაინც ათბობდა. ჰაბიბე გათენებისას მიდიოდა სახლიდან და დაღლილ-დაქანცული გვიან ღამით ბრუნდებოდა, როდესაც მისი პატარა ბიჭები უკვე კარგა ხანია ღრმა ძილში იყვნენ. საწყალი დედა მონატრებული იყო ბავშვებთან ალერსს, მაგრამ რა ექნა...

ბავშვები მთელი დღე ბებიას ანაბარა იყვნენ. გათენდებოდა თუ არა, ბებია სეთარა ბავშვებს ტანთ ჩააცმევდა, ლოგინზე დასხამდა, რაც კი სახლში ძონძები ჰქონდათ, ზედ დააყრიდა, რომ ცოტათი მაინც გამთბარიყვნენ სიცივისაგან გათოშილი ბავშვები. დამსკდარ ხელებში პურის ნატეხს მისცემდა ბებია და ეტყოდა, ადგილიდან ფეხი არ მოეცვალათ, თითონ კი ნაფოტების საშოკრად წავიდოდა. ბებიას მოსვლამდე პატარა ბავშვები, როგორც ბეღურას ბარტყები ბუდეში, ისე ისხდნენ და სიცივით კანკალებდნენ.

ერთ დღეს ბედმა გაუღიმა ბებია სეთარას.

დილით ადრე სახლიდან გასული საწყალი ქალი თითქმის ხელცარიელი ბრუნდებოდა ორი პატარა ნაფოტი ეპოვა — ეს კი ოდნავაც ვერ შეათბობდა ღუმელს ჩითის შავი კაბა დასუსტებულ მუხლებში ებლანდებოდა, თავშალმოხვეული, თავჩაქინდრული მოფარფატებდა შინისკენ. ირგვლივ მოკრიალებული ქუჩა იყო. პატარა ქაღალდის ნაგლეჯიც კი არსად ეგდო. მოხუცი ქალი გაუსწორდა სარდაფს, რომელშიაც ავეჯეულობის სახელოსნო იყო მოთავსებული. სარდაფიდან ნაძვის სუნი ამოდიოდა. ის შეჩერდა, მორიდებით ჩაიხედა სარდაფში. ხელოსანი შალაშინს მარჯვედ აყოლებდა ფიცრებს და მსხვილი, რგოლებად დახვეული თეთრი ბურბუშელა შრიალით ეცემოდა ჭაღარა ხელოსნის ფეხთან.

„აი, ეს ბურბუშელა რომ მომცა, ბავშკებსაც გავათბობდი და ლობიოსაც მოვხარშავდი», — ნაღვლიანად გაიფიქრა მოხუცმა. მაგრამ თხოვნა ვერ გაბედა და გვერდი ჩაუარა სახელოსნოს, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შორიახლოს შეჩერდა. ეს ოხერი ფეხები არ ემორჩილებიან, ან როგორ წავიდეს, აქ ამოდენა ბურბუშელაა, შინ კი ბავშვები სიცივით იხოცებიან!..

კარგა ხანი იდგა ასე. ნაოჭებისაგან დაღარული სახე მძიმე ფიქრისაგან უფრო დაეღრეჯა. ცივი, გამყინავი ქარი ჩამოშლილ თავშალს ჰგლეჯდა, მაგრამ მოხუცის ფიქრი ახლა ამ ბურბუშელას შეეპყრო. კარგა ხანი იყო ასე. ვერ გადაეწყვიტა ეთხოვნა ხელოსნისათვის ბურბუშელა, თუ არა. ბოლოს, ეტყობა, გადაწყვეტილება მიიღო და ისევ უკან დაბრუნდა. წუთით შეჩერდა სარდაფში ჩასასვლელთან, მაგრამ ჩასვლა მაინც ვერ გაბედა და თავჩაქინდრული გამოტრიალდა. კვლავ აუარ-ჩაუარა სარდაფს... ასე დასტრიალებენ ხოლმე ჩიტები შემოსულ ბალს, რომელზედაც პატრონს საფრთხობელა გაუკეთებია.

მოჯადოებულივით იყო საწყალი ქალი, ვერც თხოვნა გაბედა და ვერც მოშორებოდა ბურბუშელას, რომელიც ესოდენ სასიამოვნო სუნს გამოსცემდა და, რაც მთავარია, რომელსაც შეეძლო მისი პატარა შვილიშვილები გაეთბო. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა საწყალმა ქალმა და გაუბედავად გაჩერდა სარდაფში ჩასასვლელ კიბეებთან. სარდაფში ჩრდილი დაწვა და ხელოსანმა ზევით აიხედა.

წუთით შეჩერდა სარდაფში ჩასასვლელთან, მაგრამ ჩასვლა მაინც ვერ გაბედა.

— შენღა აკლდი ამ ბნელ სარდაფს, — უკმაყოფილოდ უთხრა ხელოსანმა, — თუ საქმე გაქვს ძირს ჩამოდი, არა და გაიარე...

— შვილო, ღვთის გულისათვის, სახლში ბავშვები სიცივით მეხოცება, ცოტა ბურბუშელა გამაყოლეთ, — ჩურჩულით ითქვა ქალმა.

6904
საჯარო ბიბლიოთეკა

ხელოსანმა ჯერ უკმაყოფილოდ შეხედა, მაგრამ როდესაც კარგად დააკვირდა ჩითის ძველ კაბაში გამოხვეული მოხუცის მობუზულ, გამხდარ სხეულს, ჰკითხა:

— სადა ცხოვრობ?

— აქვე ვცხოვრობ, მეზობლად, ქვრივი ჰაბიბეს დედა ვარ. დედაშვილობას, ბავშვები სიცივით მეხოცება...

ხელოსანმა თავი გაიქნია, შალაშინი გადმოაბრუნა, ჩაქუჩი დაჰკრა, მერე გახედა შალაშინს და მოხუცისათვის არც კი შეუხედავს, ისე უთხრა:

— ტომარა მოიტანე...

სიხარულისაგან აცახცახებული მოხუცი შინისაკენ წაფარფატდა ტომრის მოსატანად.

ბებია სეთარამ რამდენიმე გზა ბურბუშელა მიიტანა. საწყალი ქალი სიხარულით ცას დაეწია. ბურბუშელა ოთახში შეზიდა, რომ გარეთ ქარს არ გაეფანტა. ღუმელიც მხიარულად ააგიზგიზა. ოთახში სითბო დატრიალდა. ბავშვები, როგორც ბეღურები ბუდიდან, ისე გადმოფრინდნენ ლოგინიდან, სიცივისაგან შეკრული კრიჭა გაეხსნათ და ბარტყებივით აჟღურტულდნენ.

— ბებო, ეხლა მთელი კვირა თბილად ვიქნებით, რამოდენა ბურბუშელა მოიტანე,—თქვა უფროსმა, ექვსი წლის ბიჭუნა იადგარმა.

— ეჰ, რა ლამაზი ბურბუშელებია, დასაწვავად მენანება,— ნაღვლიანად თქვა ოთხი წლის ფერმკრთალმა ფირაქმა,—როცა გავიზრდები და მუშაობას დავიწყებ, ბევრ შეშას ვიყიდი, ბურბუშელას კი არავის არ დავაწვევინებ...

გახარებული მოხუციც აფუსფუსდა. ქოთანში ლობიო ჩააყენა და შედგა. გვიან ღამით დაბრუნებულ ჰაბიბეს ცხელ კერძს დაახვედრებს. ბავშვები ღუმელის გარშემო დაყრილ ბურბუშელაზე წამოგორდნენ, კატის კნუტებივით გაინაბნენ და გახურებულ ღუმელს მიეფიცხნენ.

ბებია სეთარას პური ჰქონდა საყიდელი ორიოდე გროში ამოიღო სკივრიდან, თავშლის კუთხეში გამოკრა, ბავშვებს დაუბარა, ღუმელის კარები არ გაეღოთ, და დუქანში წავიდა.

როდესაც ბებია სეთარა შავი პურით ხელში დუქნიდან მობრუნდა და თავის ქუჩას მიუახლოვდა, ხალხის რაღაც ჩოჩქოლი მოესმა და ფეხს აუჩქარა. შემაძრწუნებელი კივილით გვერდზე სახანძრო მანქანამ ჩაუქროლა. ეზოსაკენ გაიხედა და ლრუბლიან ცაში მაღლა ავარდნილი ცეცხლის ენები დაინახა. ჯერ იყო და, ფეხთ მოეკვეთა, გულში საშინელმა ეჭვმა გაჰკრა, მერე კი გველნაკბენივით გაქანდა სახლისაკენ.

წუთში ფარდულის წინ გაჩნდა. ხის ფარდული ცეცხლის ალში იყო გახვეული. ერთი კი შეჰკივლა და ცეცხლისაკენ გაქანდა. მეხანძრემ ძლივს დააკავა უბედური...

ცეცხლი კარგახანს მძვინვარებდა. როდესაც ჩააქრეს. ნახანძრალიდან ჯერ ერთი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მეორე ბავშვიც გამოიტანეს. ბებია, რომელიც აქამდე ცეცხლისაკენ იწევდა, როგორღაც უცებ მოეშვა და წუთით იყუჩა. შემდეგ მწუხარებისაგან გონებადაკარგული თვალები ირგვლივ მდუმარედ მდგომ ხალხს მოავლო, წინ გაწვდილი ხელები უღონოდ გაასავსავა და შეძრწუნებულ ხალხს შეევედრა:

— ხალხო, მიშველეთ რამე, ხალხო, მიშველეთ, მიშველეთ რამე!

ხალხი სდუმდა...

ოვანეს თუმანიანი

გაზაფხულის ძახილი

გაზაფხულია, მზე ბრწყინავს შვებით,
ავიდეთ კლდეზე, გვიხმობენ მთები!

ავიდეთ კლდეზე, დროს ნუღარ ვკარგავთ;
იქ მზეზე ვიგრძნობთ თავს უფრო კარგად.

ხედავ ყვავილებს! ჩვენც ავყვავილდეთ,
თვალწარმტაც მთაზე ძმაო, ავიდეთ!

ვნახავთ ყვავილნარს იქ სურნელოვანს,
გაღიმებულს და მრავალფეროვანს.

სტვენენ, ილხენენ ჩიტები ლაღად;
ძმაო, მწვერვალთან ავფრინდეთ მაღლა.

ჩვენც ვიჭიკჭიკოთ, სიამე ვნახოთ,
უფრო მბნედ ვიგრძნოთ თავი მზის ახლოს!

თარგმანი დ. ცაბარლისა

შევრიგდეთ!

გამებუტა გუშინ ლია
სულ უბრალო რამეზე,
დღე ძებნაში დამელია,
დავეძებ და დავეძებ.
ჯავრიანი დავყევ მინდვრებს,
აქეთ-იქით ვაწყდები;
მე არ მიყვარს, როცა ვინმე
ჩემზე რჩება ნაწყენი.
ჩვენი ასე წაჩხუბება
განა არის პირველი.
რა ვქნა, ლიამ გაბრაზება
იცის გასაკვირველი.
გუშინ მარწყვის კალათი
დამიბნია ძალათი,
მერე თვითონ დამიწყო
წუწუნი და კამათი.
მე არ მიყვარს, ვფიცავ ყველას,
როცა ვინმე მიწყრება;
მეწყინება, მაგრამ ხელად
ისევ დამავიწყდება...
ლია, სად ხარ, ჰაუ ლია,
მთელი დილა დაგეძებ,
მოდი, არ ღირს წაჩხუბება
სულ პატარა რამეზე!

მედეა კახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

ხტუნიები

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებით წელს ფართოდ აღინიშნება კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის დიდ წარმომადგენელთა ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული თარიღები, მათ შორის დანიის ხალხის დიდი შვილის ჰ. ქ. ანდერსენის (1805—1875) დაბადების 150 წელი, რაც 2 აპრილს შესრულდა.

ანდერსენის მშვენიერ ზღაპრებს დედამიწის ყველა კუთხეში იცნობენ და დიდი ინტერესით კითხულობენ როგორც ბავშვები, ისე უფროსები. „საბლიტგამი“ წელს ქართულად გამოსცემს ანდერსენის ზღაპრებს.

რწყილმა, კალიამ და კუტკალიამ შეჯიბრი გამართეს—ვინ უფრო მაღლა შეხტებაო; ამ დიდებული ასპარეზობის საყურებლად მოიწვიეს ყველა, ვისაც კი ამისი სურვილი ჰქონდა. ხტომის სამი ოსტატი ცალკე ოთახში შეიყარა.

— ვინც ყველაზე მაღლა შეხტება, ცოლად ჩემს ქალს მივცემ! — თქვა მეფემ. — ცოდვაც იქნება, ამისთანა საპატიო პირებმა მუქთად იხტუნონ!

პირველად წინ წამოდგა რწყილი. თავისი თავაზიანობით ხალხი გააკვირვა. მარჯვნივ და მარცხნივ ყველას თავს უკრავდა, თუმცა უჩვეულო ამაში არაფერი იყო: მის ძარღვებში ქალიშვილის სისხლი ჩქეფდა, ხოლო გამუდმებით ადამიანთა შორის ყოფნის დროს ზედმიწევნით შეისწავლა მათი ქცევა და ხასიათი.

შემდეგ წამოდგა კალიაც. შედარებით უეჭველად უფრო მძიმე და მოუხეშავი ჩანდა, მაგრამ სამაგიეროდ ტანად წარმოსადეგი და მოქნილი იყო და ბზინავდა თავის მწვანე აღკაზმულობაში, რასაც დაბადებიდან ატარებდა, თანაც კიდევ ამაყობდა თავისი წინაპრებით, რომლებიც ეკვიპტის ქვეყნიდან ყოფილან და თურმე იქ დიდი პატივით სარგებლობდნენ. იგი უდაბური ველიდან მოეყვანათ და მუყაოს სახლში დაებინავებინათ. ეს სახლი ბანქოს ჭრელი ქაღალდით იყო მორთული და თვალს იტაცებდა; კარებიც ჰქონდა და ფანჯრებიც, მერე სულ ფერადი ყვავის ქალისაგან გამოჭრილი.

— ისეთი სიმღერა მემარჯვებაო,—ტრაბახობდა, — რომ სამოცი შინაური ჭრიჭინა,— რომელთაც სულელური ფეხებით ბევრი იჭრიჭინეს და მუყაოს სახლი მაინც ვერ მიიღეს,—ჩემი ხმის გაგონებაზე ბრაზი-

საგან წინანდელზე უფრო დაპატარავდაო.

ორთავემ — რწყილმა და კალიამ—ამრიგად, ვაჟკაცურად გამოაჩინეს თავისი ღირსება და კიდეც დაამტკიცეს, რომ სავსებით დამსახურებულად მოითხოვდნენ მეფის ასულის ხელს.

კუტკალია კი ხმას არ იღებდა, მაგრამ ყველა იმ აზრისა იყო, რომ ის ბევრად მეტს ფიქრობდა, ვიდრე ლაპარაკობდა. და როცა იგი სასახლის ძაღლმა დასუნა, მაშინვე დაადასტურა, უთუოდ კარგი ოჯახიდან უნდა იყოსო. მოხუცმა კარისკაცმა, რომელსაც თავისი შეურყეველი დუმილისათვის სამი ორდენი ჰქონდა მიღებული, ენა აიდგა და საჯაროდ განაცხადა, რომ კუტკალიას წინასწარმეტყველების უნარიც აქვსო: მისი ზურგის მიხედვით თურმე შესაძლებელია სეტყვისა თუ ქარიშხლის წინასწარმეტყველება, ასეთ რამეს კი თვითონ კალენდრის შემდგენლის ზურგზედაც ვერ ამოიკითხავ!

— მე არაფერს ვიტყვი,—თქვა მოხუცმა მეფემ,—მაგრამ მაქვს ჩემი საკუთარი მოსაზრება!

ახლა ისღა რჩებოდა, რომ ხტომა დაეწყოთ. რწყილი ისე მაღლა შეხტა, რომ მისი შეხტომა ვერავინ შენიშნა, ასე რომ ზოგიერთმა თქვა, სულაც არ შემხტარაო, რაც პირდაპირ ცილისწამება იყო.

კალია შეხტა და საუბედუროდ პირდაპირ მეფეს შეახტა სახეში, რის გამოც მისმა უდიდებულესობამ თქვა, ეს უზრდელობაა.

კუტკალია დიდხანს უძრავად იჯდა დამთხვეულივით, ასე რომ ზოგმა თქვა, როგორც ეტყობა, სულაც არ შეუძლიაო ხტომა, ხოლო სასახლის ძაღლს კიდეც შეეშინდა:

— ვაი თუ გული შეუწუხდესო!— თქვა და ხელახლა დაყნოსა:

— სკუპ!—ისკუპა კუტკალიამ და პირდაპირ კალთაში ჩაუხტა მეფის ასულს, რომელიც იქვე პატარა ოქროს სკამზე იჯდა.

მაშინ თქვა მეფემ:

— ყველაზე მაღლა შეხტომა—ესაა ჩემი ასულის კალთაში ჩახტომა, ამაშია მთელი სიბრძნე! ეს რომ მოიფიქრო, უნდა გქონდეს თავი. კუტკალიამ დაამტკიცა, რომ მას თავი მხრებზე აბია!

და ამრიგად მას ერგო მეფის ასული.

— მაინც ყველაზე მაღლა მე შევხტი!— თავს ინუგეშებდა რწყილი. — მაგრამ ეს ახლა სულერთია. დე, ჰყავდეს მეფის ასული ამ დამთხვეულ ჯირკს! მე ყველაზე მაღლა შევხტი-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ წუთისოფელში რომ ხალხმა შეგნიშნოს, ამის გარდა კიდევ ტანად მსხვილიც უნდა იყო!

გულგატეხილი რწყილი ამის შემდეგ უცხოეთის არმიაში შევიდა და ერთ-ერთ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

კალია სადღაც თხრილში ჩაჯდა და ჩაფიქრდა ქვეყნის ამბებზე, თანაც დროდადრო იმეორებდა: «ტანად სრული უნდა იყო! ტანად სრული უნდა იყო!» შემდეგ გააბამდა რაღაც ერთფეროვან სევდიან სიმღერას, რომლიდანაც ჩვენი მოთხრობა გადმოვიღეთ და კარგია, რომ დაიბეჭდა, თორემ მთელი ეს ამბავი სრული სიცრუე იქნებოდა.

თარგმნა აკაკი ბაკაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცინო მესხიაშვილი

ნახ. კ. მახარაძისა

გაჯეხილი საჯევარი

მოთხრობა

ძალიან უყვარდა ერეკლეს სოფელ მაღაროში ასვლა. მისი გული მიილტვოდა შორს, მაღალი მთებისაკენ. იქ თითქოს სულ სხვანაირი სურნელოვანი ნიავი ეალერსებოდა და უწეწავდა შავ ხუჭუჭ თმებს. იგი შესტრფოდა არა მარტო ტყეებს, შვლებითა და ნუკრებით სავსეს, არამედ ქვიშიან გზას. პატარა-პატარა რუებით დასერილს, რომელიც ნიშანი იყო იმისა, რომ ახლო-მახლო სადღაც წისქვილი ხმაურობდა. ეამაყებოდა ათი წლის ერეკლეს, რომ გვერდით ზღაპრული გოლიათივით მაღალი, შავგვრემანი ფშაველი ონისე მიჰყვებოდა. ონისე ერეკლეს მცველიც იყო, გამრთობიც და ფარიკაობის მასწავლებელიც.

— ნელა ატარე, გეთაყვა, ონისე, ცხენს ფეხი არსად დაუცდეს, — მალმალ გადასწევდა ხოლმე ფარჩის ფარდას დედოფალი თამარი, რომლის ჩარდახისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მას ექვსი ცხენი ეპა და უკან შეიარაღებული ამალა მიჰყვებოდა, ერეკლეს და ონისეს ცხენებს კარგად გაესწროთ.

უყვარდა ერეკლეს თავისი ხალხი, რომელიც ანაგიდან ვაქირიდან გამორბოდა მის დასანახად. ყველას, ვისაც კი სიარული შეეძლო, დაწყებული პატარა, ნახევრადშიშველი ბავშვებიდან და გათავებული ღრმა მოხუცი ბერიკაცებით, უნდოდა ერთხელ მაინც შეეხედა მეფისწულისათვის. სოფლის თავკაცებს მამასახლისის მეთაურობით მოჰქონდათ პურმარილი, ვისაც რა შეეძლო, ხის ხონჩაზე დაეწყო: შოთი პური, ყველი, ღვინო, სავსე სველ-სველი ხელადები. სოფლის დედაკაცები დაშაქრული ჩურჩხელებითა და ლეღვის ჩირით უვსებდნენ ჯიბე-უბეს სიხარულისაგან თვალგაბრწყინებულ ერეკლეს.

— ასე ტკბილად და თეთრად დაგვიბერდი, ჩვენო იმედო, გვიხსენე შიშისა და უბედურებისაგან, — იცრემლებოდნენ დედაკაცები.

— შენი ჭირიმე, დაგვიხსენი იმ ურჯულო ყიზილბაშებისაგან. ამ ერთი თვის წინ წინა მხრის სოფლებს შემოესია თათრის ჯარი. ბებრები ამოხოცეს და ახალგაზრდები ტყვედ წაასხეს. ცოდვით აღარა ვართ. სოფლების მაგივრად ნასოფლარებიღა დარჩა, — ამბობდნენ ისინი.

მაღალ მწვერვალს რომ მიაღწიეს, ცოტა შეჩერდნენ. აქედან ხელისგულივით მოჩანდა ნაწილი ქიზიყისა, კავკასიონის ფერხთით გადაშლილი ლურჯი ჭიაურის ტყე და შემდეგ ოქროსფრად მოელვარე ალაზნის ველი. ერეკლემ შენიშნა, რომ ონისე მზერად იქცა. შორს, აგერ იქ, მწვანე მთებზე მისი სამშობლო ფშავ-ხევსურეთი იყო.

— რა მშვენიერი ადგილია, შენი კვნესამე! — შესძახა თვალანთებულმა ონისემ. — აი, აქ რომ გალავანი გაკეთდეს, შიშიანობასას მთელი სოფლები ამოვლენ და უბედურებას გადარჩებიან.

— მართალს ამბობ, ონისე, — დაუკრა კვერი ონოფრე ბოდბელმა, — აქ რომ მაღალი, ბურჯებიანი გალავანი იყოს, რამდენ ხალხს იხსნიდა გაჭირვებიდან.

ასეთი ლაპარაკით მიჰყვებოდნენ საურმე გზას. პატარა ერეკლე ყველაფერს იმეორებდა გულში, რათა არაფერი დავიწყებოდა და შემდეგ აეწონ-დაწონა უფროსების ნათქვამი. მალე თვალწინ გადაეშალათ გაუვალი ტყეებით დაფარული, მთებზე გადმომდგარი მაღარო.

— აგერ, ჩვენი ბოდბეც! მადლობა ღმერთს, რომ კიდევ გიხილე, ჩემო საყვარელო მიწა-წყალო! — სიხარულით გაიშვირა თითი დასავლეთისაკენ ონოფრემ, სადაც ყვითლად გადამხმარ სერებზე ხეებში ჩაფლული სოფელი მოჩანდა. შორიდან მოისმა ზარის რეკვის ხმა, რომელიც თანდათან გაძლიერდა. ხევები უკლებლად იმეორებდნენ მის ძახილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლეს ეჩქარებოდა არა მარტო თავისი პატარა კოშკის ნახვა, რომელსაც გარს ევლო ვეებერთელა ბაღი, — სავსე ირმებით, შვლის ნუკრებითა და ჭრელ-ჭრელი ფარშევანგებით. მას უფრო თავისი მეგობარი პატარა ბიჭების ნახვა უნდოდა, განსაკუთრებით ქიტესოსი. თვალწინ ედგა ძველ, მოკლე ახალუხში გამოწყობილი ბიჭი. სუსტი ტანის, სახეშეჭორფლილი ქიტესო თავისი ღონით აღტაცებაში ვერ მოიყვანდა პატარა ბატონიშვილს, სამაგიეროდ სალამურების, ხის თოფების და ხანჯლების კეთება იცოდა. მამამისი მჭედელი იყო. როდესაც ერეკლე შეირბენდა მათ გამჭვარტლულ, სიცხისაგან დაბურულ სამჭედლოში, ქიტესოს მამა ალერსითა და მოკრძალებით მიეგებებოდა უფლისწულს.

მეორე დღეს, დილით, ქიტესოს უკვე შეეტყო მეგობრის ჩამოსვლა. იგი ღობის ძირში იჯდა და მოუთმენლად ელოდა ერეკლეს გამოჩენას. აგერ ერეკლეც. ბატონიშვილს ცხენი მოყავდა საბალახოდ. პატარა ქიტესოს გული აუკანკალდა, როდესაც ერეკლე ღობეს გაუსწორდა:

— ერეკლე! — ათრთოლებული ხმით გასძახა მან.

— ქიტესო!

ბავშვები სიხარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— მე შენ ნამდვილი ურემი გაგიწყე... ბორბლებიც მე გავაკეთე, სალტეებიც მე გამოვჭედე...

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ შიკრიკი მოვიდა დედოფალთან და წერილი მოუტანა. ეს წერილი ეკუთვნოდა შირვანის ხანს, რომელიც მაშინ კარგ დამოკიდებულებაში იყო საქართველოსთან. იგი იტყობინებოდა, რომ მათთან სტუმრად იყო სპარსეთის ერთ-ერთი კუთხის გამგებლის იუსუფ ხანის მეუღლე. ეს ქალი თამარს შორეულ ნათესავად მოხდებოდა. აი, ამ წერილში შირვანის ხანის პირით, სპარსეთის ხანის ცოლი თხოვდა თამარს ნება დაერთო მათთან სტუმრად მისვლისა.

მასაც ერეკლეს კბილა ვაჟიშვილი ჰყავდა. ამიტომაც უნდოდა ბავშვების ერთმანეთთან შეხვედრა და ნათესაური გრძნობის გაღვივება, რათა ამ გრძნობას მეგობრობის და სიკეთის ტკბილი ნაყოფი გამოეღო, რის წინააღმდეგი, ცხადია, თამარიც არ იქნებოდა.

— ნამდვილად, აქ სხვა რამეშია საქმე, — იჭვიანად გაიფიქრა თამარმა, როდესაც წერილი ჩაიკითხა.

— სწორედ ასეა, ვინ იცის გზების დასათვალიერებლად მოდიან და ვაჟიშვილს მიზეზობენ, — დაუდასტურა ონოფრე ბოდბელმა.

— მაგრამ სტუმარი რომ არ მივიღოთ, სირცხვილია. არ შეიძლება... — ჩაფიქრებით წარმოთქვა თამარმა და თანხმობის წერილი გადასცა.

* * *

ხანის ვაჟს იბრაჰიმს ძალიან მოეწონა მაღაროც და ერეკლეც, მაგრამ ერეკლეს ლმობიერება და დიდსულოვნება მასში შურს იწვევდა. იბრაჰიმს თან ახლდა მსახური თათრის პატარა ბიჭი ისკანდერი. მსახური ოროდე წლით უფროსი იქნებოდა ბატონზე, მაგრამ იბრაჰიმი როგორც საკუთარ ნივთს, ისე ექცეოდა: უმიზეზოდ უყვიროდა, აბუჩად იგდებდა და სილასაც გააწნავდა ხოლმე დრო და დრო.

ონისე და ისკანდერი ძალიან დამეგობრდნენ. ონისეს თავადაც უკვირდა — რამ შეაყვარა ისკანდერი. ალბათ, იმან, რომ დაჩაგრული იყო ბიჭი. ერთად დაჰყავდათ ცხენები წყალზე და საბალახოდ.

იმ დღესაც ერთად ისხდნენ ონისე და ისკანდერი ვეებერთელა კაკლის ჩრდილში, რომელიც წყაროს გადასცქეროდა; ცხენებს აძოვებდნენ და საუბრობდნენ. ონისეს ერეკლეს ტანმორჩილი თეთრი ცხენი ჰყავდა, ისკანდერს — იბრაჰიმისა. ახლოს კამეჩების ნახირმა ჩამოიარა. მოდიოდნენ ბღავილით, და ერთიმეორეს აწყდებოდნენ. იბრაჰიმის ცხენი დაფრთხა, საბელი აიწყვიტა და გაქანდა.

ისკანდერი შიშისაგან გაყვითლდა.

ონისემ დაუძახა მენახირეებს და ისინი ქამანდებით გამოუდგნენ გაქცეულ პირუტყვს. დიდხანს ეძებეს ცხენი, მაგრამ კვალს ვერსად მიაგნეს.

პატარა ბატონები მოუთმენლად ელოდნენ ცხენებს. ისინი დიდ ტყეში აპირებდნენ გასეირნებას და გეგმებს აწყობდნენ, ცხენები კი ჯერ არსად ჩანდნენ.

როგორც იქნა გამოჩდნენ ონისე და ისკანდერი. ონისე ერეკლეს ცხენს მოუძღოდა, ისკანდერი კი ხელცარიელი მოსდევდა უკან.

— ჩემი ცხენი! — მიაძახა იბრაჰიმმა.

ისკანდერმა ტირილი ამოუშვა:

—ჩემი ბრალი არ არის, ალაჰის მადლმა... ვისაც გინდა ჰკითხე...

ონისემ რამდენიმე სიტყვით უამბო პატარა ბატონებს, რაც მოხდა, მაგრამ იბრაჰიმი ყურს აღარავის უგდებდა, თვალები ამღვრეოდა, სახე სიბრაზისაგან უკანკალებდა:

— ჩემი ცხენი სად დაჰკარგე, ჰა! დაგეძინა, შე უქნარავ, დაგეძინა?!.

მან მოიქნია ვერცხლით მოჭედილი მათრახის ტარი და სახეში ჩაარტყა. ისკანდერი დაბარბაცდა და სისხლი წასკდა.

დამსწრენი შეძრწუნდნენ, განსაკუთრებით — პატარა ერეკლე. მან ხელი სტაცა იბრაჰიმს.

— ცოდოა, შენი ცხენის დაკარგვა ისკანდერის ბრალი არ არის, ნუ დასჯი და ჩემ თაფლას გაჩუქებ.

ერეკლეს სიტყვებმა გააოცა ყველანი, გაახარა ონისე, იბრაჰიმი კი ამის გამო უფრო აიმრიზა,



მწვერვალს რომ მიაღწიეს, ცოტა ხანს შეჩერდნენ.

ბოლოს ერეკლემ უგვერდა და იბრაჰიმი ბალახში გააგორა.

რამდენიმე ხანს იბრაჰიმი და ერეკლე ერთმანეთს უბღვერდნენ, ხმას არა სცემდნენ. მაგრამ ბავშვები მალე შერიგდნენ და თამაში დაიწყეს. გადაწყვიტეს ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ ფარიკაობაში და ჭიდაობაში. ასპარეზად ვეებერთელა კაკლის ხის ჩრდილი ამოირჩიეს. იბრაჰიმი ერეკლეზე უფრო მაღალი იყო, სამაგიეროდ ერეკლე უფრო ჯმუხი და მხარბეჭიანი იყო. კარგა ხანს ეჯაჯგურნენ ერთმანეთს, ბოლოს ერეკლემ უგვერდა და იბრაჰიმი ბალახში გააგორა.

კაკლის ხიდან მოულოდნელად სიცილი და ტაშის ხმა მოისმა:

— ყოჩაღ, ერეკლე! რა ლავაშივით გააკარ, შე დალოცვილო!

— ქიტესო, — დაიძახა სიხარულით ერეკლემ, — ჩამოდი, ჩამოდი ჩემთან, ახლა ფარიკაობაში უნდა გავეჯიბრო.

იბრაჰიმი გულმოდგინედ იბერტყავდა ტანსაცმელის კალთებს, თუმცა ბალახში წაქცეულს რა გაამტვერიანებდა! გრძელ, გამხდარ სახეზე სიბრაზისაგან ალმური ასდიოდა, ახლოს მიმსხდარი თვალები ნაკვერცხლებივით უელავდნენ. ორივემ იძრეს სატევრები. ეს სატევრები ხისა იყო. თერთმეტ წლამდე ერეკლეს ნამდვილი მახვილის ტარების უფლება არა ქონდა. მათ დაიწყეს ფარიკაობა. ისე უკაკუნებდნენ ხის სატევრებს, გეგონებოდა კოდალა არაკუნებსო. ერეკლეს მახვილს ტარი მოტყდა. გახარებულმა იბრაჰიმმა უმოწყალოდ დაუშინა, მაგრამ ერეკლეს ოსტატობის წყალობით სატევარი მხოლოდ ფარს ხვდებოდა.

— უიარაღო ადამიანს არ ებრძვიან! — შესძახა ერეკლემ.

— აჰა, ერეკლე, ჩემი ხანჯალი! — საჩქაროდ ამოიღო ბუდიდან ქიტესომ ხანჯალი და ერეკლეს გაუწოდა.

ერეკლემ ისევ შეუტია იბრაჰიმს, რომელსაც შუბლზე ოფლი ღვარივით ჩამოსდიოდა და ქშინავდა.

„დამნებდი!“ — უკიჟინებდა იგი და უფრო მედგრად უტევდა. ბარემ არ ეთმობოდა გამარჯვება სახეზე ალმურავარდნილ იბრაჰიმს, მაგრამ რას იზამდა, როდესაც მკლავი აღარ ემორჩილებოდა.

შორიდან ძახილი მოისმა:

— მგონი გვეძებენ. აგე, ონისეა...

ერეკლე გატრიალდა და გამოხმაურებას აპირებდა, რომ იბრაჰიმმა პატარა ალმასისვით მჭრელი დანა ამოიღო, ჯერ დაიხარა, ვითომ ფეხსაცმელს ისწორებდა, მაგრამ უცებ აიხედა და ერეკლეს ზურგს მიაშტერდა, თითქოს კარგ ადგილს ეძებდა დასარტყმელად. ქიტესო მიუხვდა განზრახვას. კატასავით ისკუპა და უნდოდა იბრაჰიმს სცემოდა, მაგრამ მოქნეული დანა მას მხარში მოხვდა და სისხლმა ნელნელა შეღება მისი ხალათი.

— მოჰკლა, მოჰკლა ქიტესო! — იკივლა ერეკლემ და დაჭრილ მეგობართან მივარდა.

ამასობაში ონისეც მოვიდა.

— რა ღმერთი გაუწყრა ამ ურჯულოს! — გრგვინავდა ონისე.

— მე ფეხსაცმლის კოპს ვიჭრიდი. ამან ხელი მიტაცა დანას, რა უნდოდა მაგ გლეხუჭას! — ჯავრობდა თავის მხრივ იბრაჰიმი.

იბრაჰიმის უგუნებობა დედა მისსაც გადაედო და ხანის ცოლმა გადაწყვიტა, როგორც ინათებდა, გზას გასდგომოდა. იმ ღამეს გამოსამშვიდობებელი ვახშამი მოუწყეს წამსვლელებს. ლოგინში მწოლი ერეკლეს დიდხანს ესმოდა ქართული მრავალ-ჟამიერის ხმა. „ნუ გავახარებთ მტერს ჩვენზედაო“. მღეროდნენ ხმატკბილად, შეწყობით. თითქოს მათი ხმები ვარსკვლავებს წვდებოდა. „დიახ, არ გავახარებ მტერს, — ფიქრობდა პატარა ერეკლე, — აგერ, იქ, ორკუზიანი აქლემივით რომ მოჩანს გორა, გაკეთდება გალავანი ბურჯებითა და სათოფურებით...“ ერეკლეს თვალწინ დაუდგა ბოროტად ამღვრეული თვალები იბრაჰიმისა. დიახ, სწორედ ის ციხესიმაგრე დაიცავს იბრაჰიმის ბოროტი ზრახვებისაგან ქიზიყს.

2.

მას შემდეგ გავიდა თითქმის ექვსი წელიწადი. შინა და გარე ამბებით დაღლილ ერეკლეს მშვიდად ეძინა თელავის სასახლეში. ვერცხლის კანდელებში მდგარი სანთლები ანათებდნენ ერეკლეს საწოლს, ფარჩის ჭრელ საბანში გახვეული მეფის ხუჭუჭ თმასა და შავგვრემან სახეს. ძილისმომგვრელი ტკბილი სიჩუმე სუფევდა სასახლეში. რას შეეძლო დაერღვია მყუდროება, თუ რა დიდ უბედურებას! უცებ გაისმა ფლოქვების თქარა-თქური და ვიღაც გაშმაგებით მოაწყდა ალაყაფის კარებს. ერეკლეს მახვილ სმენას მაშინვე შემოესმა ბრახუნი ალაყაფის კარისა.

— ჰეი, ხალხო და ჯამაათო, ჩქარა გამიღეთ კარი.

— ვინ ხარ, ამ შუაღამისას კარის გაღებას რომ თხოულობ?!

— ყაფლან ჩოლოყაშვილის გლეხი გიორგი პეტრიაშვილი ვარ. გამიღეთ კარი. დიდი ხიფათი ელის ჩვენს საწყალ სოფლებს. ნაშუადღევს დიდძალმა თათრის ჯარმა გაიარა. ურიცხვნი იყვნენ.

— საით მიდიოდნენ, ხომ არ იცი? — იკითხა ონისემ.

— მგონია ანაგა-ვაქირისაკენ ქონდათ მიმართულება.

ერეკლემ თეხები ქოშებში წაყო, ზოლიანი ხალათი მოიხურა და პეტრიაშვილი ყაფლან ჩოლოყაშვილთან და ახლომახლო სოფლებში ქუდზე კაცის შესაკრებად აფრინა. სიბნელეში ისმოდა ცხენების ფრუტუნი, იარაღის ჯღარუნი და ხალხის დრტვინვა. მალე მოვარდა ერეკლეს ერთგული ყაფლან ჩოლოყაშვილი თავის ძმითა და ცხენოსნებით. მეზობელ სოფლებიდან შეიარაღებული გლეხები დაუსრულებლად მოისწრაფოდნენ ერეკლეს სასახლისაკენ. მოართვეს ერეკლეს თრიალეთის მთებზე ნასუქი ლურჯა ცხენი.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა, როდესაც ერეკლემ თავისი ჯარით ალაზანს მიაღწია. აქედან იწყებოდა დიდი ტყე. ცხენები ფრთხილად გადადიოდნენ უმოაჯირო ბოგირზე. გადაწყვიტეს ამ ტყესთან მოეცადათ. მტერს სხვა გზა არა ქონდა, უსათუოდ აქეთ უნდა გამოევლო. ერეკლემ ჯარი სამ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილის მეთაურობა თვითონ იკისრა. მეორეს, რომლის მეთაურად ყაფლან ჩოლოყაშვილი აირჩია, ზურგიდან უნდა მოევლო მტრის ჯარისათვის. მესამე კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათადარიგო გახლდათ; ისინი უცებ გვერდიდან უნდა დასტაკებოდნენ მტერს.

გათენდა.

დილაც გავიდა.

მტრის ჯარი არსად ჩანდა.

შორს გზაზე მტვერი ღრუბელივით ავარდა.

„მოდიან, მოდიან!“ გამოსძახა ლაშქარს წიფელზე შესკუპებულმა მზვერავმა. ყველას, თვითონ ჭაბუკ ერეკლესაც, გული აუფანცქალდა. ხეს ამოფარებული მისი ცხენი ტოროსა სცემდა და ფრუტუნებდა.

მტერი ახლოვდებოდა. ახლა გარკვევით მოისმოდა ტყვე ქალებისა და ბავშვების ხმამაღალი მოთქმა-ტირილი. აი, გამოჩნდა პირველი მხედარი. იგი შავ ცხენზე ზის, თეთრი, მოოქროვილი ჩალმა ახურავს თავზე. ერეკლე მზერად გადაიქცა. ვის აგონებს ეს გრძელი სახე, ახლო-ახლო მიმსხდარი თვალები?!

იბრაჰიმია, ნამდვილად იბრაჰიმია!

— შეჩერდი იბრაჰიმ! — შესძახა ერეკლემ და ცხენი ზედ მიაგდო.

— იბრაჰიმ, გაფიცებ ჩვენს მეგობრობას, ჩვენს წინანდელ სტუმარ-მასპინძლობას, დასტოვე ტყვეები და ხელს არ გახლებ.

— ღმერთმა შენც შეგარცხვინა და შენი სტუმარ-მასპინძლობაც! — შესძახა იბრაჰიმმა და მოულოდნელად ხმალი მოუქნია.

მაგრამ ერეკლემ სპარსის ხმალს ფარი ცერად შეუშვირა, ცხენი განზე ასკუპა და წამსვე თვითონ გაიმეორა იგივე.

იბრაჰიმის თავი ბალახში გაგორდა, გასისხლიანებულმა შავმა ცხენმა კი ტყეს მისცა თავი.

აირია ყველაფერი. შებრუნდნენ სპარსნი. დაფაცურდნენ ხელგაკრული ქართველი ტყვეები: ბევრი გადარჩა, ბევრიც ცხენთა ფეხქვეშ გაისრისა. ბრძოლა არ დაწყებულიყო და გამარჯვება ერეკლეს მხარეზე იყო. წახდა სპარსთა ლაშქარი, მაგრამ ასე უცებ არ ივარგებდა გაქცევა და აქა-იქ მაინც გაჩაღდა ბრძოლა, რათა უკეთ გაესწროთ სამშვიდობოს.

ორიოდე საათში ბრძოლა ქართველთა სასარგებლოდ გადაწყდა. მოახსენეს ერეკლეს: ასეთი აოხრება არ ახსოვს ქიზიყის სოფლებს, ძოძუთა ბალღები ხანჯლებზე წამოაგეს, ბერიკაცები ერთიანად აჰკაფეს, ხის კოშკს ცეცხლი წაუკიდეს და საძირკვლიანად დასწვეს.

ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. გუნებაწამხდარი ერეკლე კორტოხზე განმარტოვდა. ფიქრში წასული გასცქეროდა უკანასკნელ შეტაკებებსა და ალაფის ასაკრეფად ველზე გასულ ცხენოსნებს. უეცრად ძახილი შემოესმა:

— ერეკლე-ხან, გაფრთხილდი, ერეკლე-ხან, მტერია უკან... მყისვე შებრუნდა ერეკლე. ვისი ხმა იყო? ეს იყო შავტანსაცმლიანი სპარსი მხედარი. შეძახება იყო და მხედარმა ერეკლეს ელვასავით ჩამოუქროლა, ხმალი აუკრა ერეკლეს ზურგსუკან წამოპარულ მეორე ყიზილბაშს. ფიქრიდან გამორკვეულმა ერეკლემ ქურდულად წამოპარულს თავი გადაუჩეხა და ახლა უცხო მხედარს დაუწყო თვალით ძებნა, მაგრამ მხსნელი აღარსად ჩანდა.

ეს იყო მოულოდნელი და ძალზე საოცარი ერეკლესათვის. მალე ბრძოლა დამთავრდა და ტყვეების დასათვალიერებლად წინ წაუძღვნენ მეფეს. ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი ბრძოლის ველზე, თვალს არიდებდა უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ გვამებს. უცნაური თვალებით ათვალიერებდა დაჭრილ და გაჯეგილ სპარსებს, თვალწინ კი ის შავი მხედარი უდგა, ერთ წამს მოლანდებასავით რომ ჩაუქროლა ძახილით.

შუაღამე კარგახნის გადასული იქნებოდა, როდესაც ერეკლემ თავისი ჯარით ალაზანს მიაღწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბევრი ყოფილან...—წამოთქვა ერეკლემ უმისამართოდ.

— ბევრნი, ბატონიშვილო. ცოტამ მოასწრო გაქცევა...

ტყვეებისათვის იარაღი უკვე აერთმიათ, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევისათვის, სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა, მარჯვნივ და მარცხნივ მცველები უდგნენ პატარა კახს. შუა გზაზე უწვერული სპარსი ჭაბუკი გამოვარდა ტყვეებიდან, ცხენს ფეხქვეშ ჩაუვარდა და რაღაცასა თხოულობდა ერეკლეს. მცველებმა უმალ მოაცილეს იგი მეფეს. ახლაც, ტყისპირზე რომ გაუხვიეს, ასევე უპირებდნენ-ერთს მცველები, მაგრამ იგი გაძალიანდა და, სხვა გამოსავალი რომ ვერ იპოვნა, პირზე სისხლის დუუმიდგარმა ორჯერ დაიძახა:

— ერეკლე-ხან, ერეკლე-ხან...

ერეკლე ტყვიასაკრავივით შეკრთა. უმალ შეაბრუნა ცხენი და მცველებს უბრძანა, ხელი შეეშვათ დაჭრილისათვის.

— ვინა ხარ შენ?! — განცვიფრებით ჰკითხა ერეკლემ.

— მე... მე... — წარმოთქვა ჭაბუკმა და სისხლი წამოაფურთხა.

ეს ის ხმა იყო, რომელსაც ერეკლე ქურდული დარტყმისაგან გადაარჩინა სულ რაღაც ერთი საათის წინ. ეს იყო ისკანდერი, იბრაჰიმის მსახური.

გოლიათი ფშაველი ონისე გაშტერებით დააცქერდა, დაჭრილს; ცდილობდა გაეხსენებინა, სად ენახა იგი, ერეკლეს კი წამში თვალწინ გაურბინა ათი წლის წინანდელმა დილამ ბებერ ნიგოზქვეშ. სპარსთა მომავალი ხანის სტუმროობამ ბოდბეში, იბრაჰიმის დანამ, პატარა ქიტესოს გასისხლულმა ბეჭმა და ბოლოს გაღიახული სპარსი ბიჭის ისკანდერის მადლიერმა თვალებმა.

— ისკანდერ! — შესძახა ონისემ. — ისკანდერი ხარ შენ?

— შენ მე ხიფათს გადამარჩინე დღეს. — წარმოსთქვა პატარა კახმა მღელვარებით, — რით შემიძლია დაგასაჩუქრო?!

მაგრამ სისხლისგან დაცლილს გული მისდიოდა და საჩუქრად სიცოცხლე სჭირდებოდა მხოლოდ. სასახლის მკურნალს მიხმეო, — საჩქაროდ უბრძანა მეფემ ონისეს და გონებამიხდილ ისკანდერს უმალ ფუტკარივით მიესივნენ მზრუნველი კაცები.

ერეკლე ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ უფრო დააღონა, ვიდრე გაახარა. დაფიქრებული ბრუნდებოდა იგი სასახლეში. დღევანდელ ბრძოლაში გამოჩენილთა დასაჩუქრება ყველზე პირველ რიგში ონისეს აზნაურობას უბოძებდა. დაასაჩუქრებდა ყაფლან ჩოლოყაშვილს თავისი ძმით, ამბის მომტან პეტრიაშვილს. უნებურად ხმალზე დაიხედა: თავში და ბოლოში შევერცხლილი ხმალი ერთიანად შეღებილი იყო სისხლით. ომში, ცხენისა და სატევრის ფასი რა უნდა იყოს? ხომ შეიძლებოდა შუაზე გასტეხოდა! მაშინ ერეკლეს თავი ეგდებოდა მიწაზე და იბრაჰიმი გამარჯვებული დაბრუნდებოდა სპარსეთში. ერეკლემ ამოიღო ხმალი და მიწაში ჩაარჭო. ხმალი გაიღუნა, შეკანკალდა და ფეხზე დადგა.

— ყოჩაღ! — წარმოსთქვა მან. შემდეგ ონისეს მიუბრუნდა:

— ვისი გამოჭედილია ეს ხმალი? გამიგე და დამიძახე.

ორიოდე დღის შემდეგ ერეკლე სავარძელში იჯდა და თავისი მამის თეიმურაზის წერილს კითხულობდა, როდესაც ონისე შემოვიდა.

— გეახლათ, შენი კვნესა მე.

— ვინა? — გაკვირვებით იკითხა ერეკლემ.

— მესატევრე.

კარებთან მოწიწებით იდგა გამხდარი, სუსტი ტანის ახალგაზრდა.

— ქიტესო, შენ? — შესძახა ერეკლემ.

— მე გახლავართ, ბატონიშვილო.

— ეს სატევარი განა შენი გამოჭედილია?

— დიახ, ბატონიშვილო, ეგეც და სხვაც მრავალი...

ერეკლემ უჯრას გამოსწია და ქისა ამოიღო.

— აჰა, ეს ფული. ერთის მაგივრად მრავალი სამჭედლო ააშენე. აიყვანე შეგირდები და გადაეცი მათ შენი ხელოვნება. სხვა მხრივაც არხეინად იყავი. მალე გალავანს შემოვავლებ თქვენს მიდამოებს და ხელოსნები დამშვიდებით გამოსჭედენ იარაღს საქართველოს თავისუფლებისათვის.

ერეკლეს სიტყვები ასრულდა. რამდენიმე ხნის შემდეგ იმ მიდამოებს, სადაც ერეკლეს კოშკი იბრაჰიმმა ფერფლად აქცია, შემოავლეს მაღალი ქვიტკირის გალავანი, რომელსაც ალაგ-ალაგ ჩატანებული მრგვალი ბურჯები ამშვენებდნენ. გაშენდა სახლები, სამჭედლოები, სადაც დღე და ღამ სჭედდნენ ქართულ იარაღს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. პოროშკოვა

კლასის მამასახლისი

ნახ. ზ. ლეჟავასი

რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ქალთა სკოლაში ვაჟები მოვიდნენ და მერხებზე გოგონების გვერდით დასხდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი რაღაც უჩვეულო იყო, ცოტათი ამაღლებული და თანაც საინტერესო.

კლავა სინკოვამ დღეს სქელად ჩაიწნა გრძელი ნაწნავები.

— წარმოიდგინეთ! გუშინ ერთმა აყლაყუდამ ნაწნავებიდან ბანტი გამომაძრო. ერთი ვიღაც ყოჩრიანია, დრანკინია თუ ბარანკინი, რაღაც ამდაგვარი... მეშვიდე კლასში გადავიდნენ და მაინც ნაწნავებს გვაგლეჯენ. საკვირველია!

მაშა კალაჩევამ, რომელსაც ქერა წარბები შეეშმუხნა და ალაყარებით მიაბიჯებდა მის გვერდით, არაფერი უპასუხა.

— შენ რატომღა ხარ ასე შეფიქრიანებული? — ჰკითხა კლავამ, როცა ის ასე წარბშეკრული დაინახა. — შენც იმითი ხარ უკმაყოფილო, რომ ჩვენთან ვაჟები არიან?

— დღეს მამასახლისის გადარჩევაა, — მოკლედ მოუჭრა მაშამ.

— ა!

კლავა ყველაფერს მიხვდა. უკვე სამი წელია, რაც მაშა კლასის უცვლელი მამასახლისია. ყველაფერი რომ ძველებურად ყოფილიყო, რასაკვირველია, გოგონები ისევ მას აირჩევდნენ. კარგი მოსწავლეა, წესიერი, ყველას მიმართ ყურადღებიანი და მომთხოვნი. მაშა ისეთი მამასახლისი იყო, რომ უკეთესი არც შეიძლებოდა. გოგონები მაშას ისევ აირჩევდნენ. მაგრამ ვაჟები?

— შენ ფიქრობ, ისინი წინააღმდეგი იქნებიან? — ჰკითხა კლავამ.

— ეჭვიც არ მეპარება, — ირონიულად გაიღიმა მაშამ, — როგორ, მაგათ გოგონა ჰყავდეთ მამასახლისად? რას ამბობ?!

კლასის პარმაღთან გოგონებს დრანკინ-ბარანკინი შეხვდათ. კლავამ წინდახედულად გადმოიწია ნაწნავი მკერდზე, მაგრამ დრანკინს ეს არც კი შეუმჩნევია.

— აი ისიც, კალაჩევა მოვიდა! — დაიყვირა მან. — ყოფილი მამასახლისი!

მაშა გაწითლდა, ტუჩზე იკბინა და წავიდა თავისი ადგილისაკენ. დიმა რიბაკოვმა, რომელიც მის გვერდით დასვეს მერხზე, მისკენ ისინაც ჰკითხა:

— შენ როქლის გულშემატკივარი ხარ: „დინამოსი“ თუ „სპარტაკის“?

— სულერთი არ არის — „სპარტაკი“ თუ „დინამო“?

დიმამ ზიზღით ჩაიფრუტუნა. უნდოდა ეთქვა, რომ გოგონებს ფეხბურთისა არაფერი გაეგებათ და რომ კალაჩევა პირდაპირ ამის მაგალითია, მაგრამ ამ დროს კლასში მასწავლებელი შემოვიდა და გაკვეთილი დაიწყო.

მაშა თუმცა ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს, მაინც წარბებქვეშიდან გაიხედავდა ხოლმე გვერდზე. აი, ზის დრანკინ-ბარანკინი. ნუთუ უკეთესი არ იყო, როდესაც კლასში მარტო გოგონები ისხდნენ? მაშამ, დრანკინისათვის რომ არ ეცქირა, სხვა მხარეს გაიხედა. მის მარცხნივ ანდრეი სვერჩკოვი იჯდა. სვერჩკოვი — აი, გვარი! როგორ ზის, ერთი შეხედეთ, თვალებით ჭამს ანა სერგეევნას. შეიძლება იფიქრო, რომ მასწავლებელი მხოლოდ მისთვის ხსნის გაკვეთილს. მაშამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთი იყო და გვერდზე გაიხედა. ეგ ანდრეი იყო სწორედ რომ თქვა გუშინ, როცა მაშა ისტორიას პასუხობდა: შეიძლებოდა უფრო საინტერესოდ ეპასუხნა კალაჩევას, უფრო მეტს რომ კითხულობდესო. გულის სიღრმეში მაშაც გრძნობდა, რომ ანდრეი მართალი იყო. მაშა არც ისე ბევრს კითხულობს. დრო არ ყოფნის. მაგრამ ანდრეის შენიშვნამ მაინც გაანაწყენა იგი.

როგორც კი დაირეკა ზარი, მაშა დერეფანში გავიდა და მკლავი გაუყარა ნინა რაკიტინას, რადგან იგი პირველი შემოხვდა მას.

— მაშა! კალაჩევა! მოდი აქ! — დაუძახა შურა ზიაბლიკოვამ, — საბჭოს სხდომაზე!

მაშა გაჩერდა და მიმოიხედა. დერეფანში წრიულად იდგნენ გოგო-ბიჭები და შურა — რაზმის საბჭოს წევრი — შუაში იდგა.

— რატომ? — ნშრალად ჰკითხა მაშამ და გზა განაგრძო ნინასთან ერთად. ისინი ახალ მამასახლისს ირჩევენ, მაშამ რატომ უნდა შეუშალოს ხელი? მამასახლისად ის იქნება, ვინც მათ სურთ. დრანკინ-ბარანკინი, სვერჩკოვი, რიბაკოვი. ხხოლოდ არა მაშა!

— მაშა, — უცბად ხმადაბლა უთხრა პატარა ცხვირპაჭუა ნინა რაკიტინამ, — შემომხედე... მხოლოდ შეუმჩნევლად შემომხედე... კარგად მაქვს უკან ნაწნავები დაწყობილი?

მაშამ შეხედა:

— ეს რაა შენს თავს? რა კვერებივით დაგიხვევია!

— შეხედე ერთი, კვერებიო! — გაიკვირვა ნინამ. — ასე ხომ უფრო ლამაზია! შენ იტყვი, არაო?

— ვითომ უფრო ლამაზია? რად გინდა ასე?

— მაინც... ახლა ჩვენთან ბიჭებია. გვიყურებენ...

მაშამ გაოცებით შეხედა ნინას და უცბად გაბრაზდა.

— ბიჭები გვიყურებენ! სულ ერთი არ არის, ვინ გიყურებს — გოგო თუ ბიჭი? უწინ წესიერად გქონდა თმები, ახლა.. კაცი ვერ გაიგებს, რას ჰგავხარ! სასაცილოა სწორედ...

მაგრამ ნინა რაკიტინამ მოულოდნელად შეუტია:

— შენ ჯერ არა ხარ ჩვენი მამასახლისი, — წარმოთქვა მან და პირდაპირ თვალებში შეხედა მაშას, — აი, როცა მამასახლისი იქნები, მაშინ მოგვეცი შენიშვნები. — და დაუმატა: — თუ კი იქნები მამასახლისი...

მაშა შეკრთა, თვალი გააყოლა ნინას.

ჩქარი ნაბიჯით მივიდა მაშასთან ანდრეი სვერჩკოვი.

— კალაჩევა, — თქვა მან, — კურდღელი ხომ არა ხარ? გეძახიან, შენ კი ბარბიხარ!

— შენ კი ღუმელის ჭრიჭინა ხარ!

ანდრეიმ გაიცინა.

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. „ღუმელის ჭრიჭინა“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდა, როგორც ახალ თარგმანშია, „ბუხრის ჭრიჭინა“, ძალიან კარგი ჭრიჭინა იყო, ჭკვიანი, კეთილი...

მაშამ შეხედა მას: ეს რაო — ჭრიჭინა ჭკვიანი, თანაც კეთილი?

— შენ რა, ნუთუ არ წაგიკითხავს ეს წიგნი? დიკენსისაა.

— უშენოდაც ვიცი, რომ დიკენსისაა.

— შენ ხომ ის არ წაგიკითხავს?

— რა ვუყოთ, რომ არ წამიკითხავს! შენც რამდენი რამ არ წაგიკითხავს!

— დიახ, მე ჯერ კიდევ ბევრი რამ არ წამიკითხავს,— ძალიან ლოდნელად, უბრალოდ და მეგობრულად დეთანხმა ანდრეი. — მე შენ ხვალ მოგიტან დიკენსს, მაქვს. ჰაუ რა წიგნია! უსათუოდ წაიკითხე. ახლა ეს მითხარი, — განაგრძო მან, — ისევ მამასახლისად რომ წამოგაყენონთ, რას იტყვი?

— მე?

— ჰო, რა გაიკვირვე?

— მაგრამ თქვენ ხომ მოინდომებთ, ვაჟი აირჩიოთ...

— რატომ? — ანდრეიმ მხრები აიჩეჩა. — შენ გამოცდილება გაქვს. გოგონები ამბობენ, კარგი მამასახლისი ყოფილხარ.

— მერე და... დამოჯერებენ ვაჟები? — უნდობლად ჰკითხა მაშამ.

— ვაჟები რა, განა უსათუოდ უგუნურები უნდა იყვნენ?

ზარის ხმამ იხსნა მაშა პასუხის გაცემისაგან. იგი ჩაფიქრებული გაემართა კლასისაკენ. მას მაშინვე დაეწიენ ნინა რაკიტინა და კლავა სინკოვა.

— შენ მას უკვე დაუმეგობრდი? — ჰკითხა კლავამ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს მაშამ გამცემლობა ჩაიდინაო.

ნინამ კი გაიცინა.

— მას თაფლისფერი თვალები აქვს. მაშა პლუს ანდრეი უდრის სიყვარულს.

მაშა შეკუბეულა.

— ფუ! რა საზიზღარი გამოგონებაა! ანდრეი კარგი ადამიანია... დიახ, დიახ, დავმეგობრდით! თქვენ კი... თქვენ მეშჩანები ხართ! ქალიშვილები! მეტი არაფერი.

მაშას მტკიცე ნებისყოფა ჰქონდა. ამიტომ იგი მშვიდად იჯდა შემდეგ გაკვეთილზე და მშვიდადვე პასუხობდა, როდესაც მასწავლებელმა დაფასთან გამოიძახა.

მაგრამ გულში ყველაფერი უდუღდა. რა ქნას? როგორ მოიქცეს? ბოლოს და ბოლოს რატომ არ უნდა იმეგობროს ვაჟებთან ისე, როგორც გოგონებთან? გაკვეთილების მომზადებაც შეიძლება მათთან, წიგნების თხოვნაც. აი, თუნდაც შურა ზიაბლიკოვა — მისთვის თითქოს არავითარი ცვლილება არ მომხდარიყოს კლასში. ალბათ, ასეც უნდა. მაგრამ არიან ისეთი კლავები, რომელთაც ერთი დრანკინ-ბარანკინის გამო არაფრის გულისთვის არ სურთ ვაჟებთან მეგობრობა.

გაკვეთილების შემდეგ ყველა კრებაზე დარჩა.

— გოგოს არ აირჩევენ, არაფრის გულისთვის არ აირჩევენ, — თქვა კლავამ და ჩამოჯდა მაშასთან.

— რასაკვირველია, არ ავირჩევთ! — გაიმეორა დრანკინმა, მისი სიტყვები რომ გაიგონა.

აქ კი ლაპარაკში შურა ზიაბლიკოვა ჩაერია:

— გოგოს? რას ნიშნავს — გოგოს? საინტერესოა, შენ პიონერი ხარ თუ არა?

— აბა, რა, გოგო დაუწყებს ბიჭებს მბრძანებლობას? — დაიყვირა დრანკინმა. — ამას ჩვენ არ დავუშვებთ!

— შეიძლება, თქვენ არც პიონერთა ორგანიზაციაში ყოფნის ნება დაგვრთოთ!

მოვიდა პიონერხელმძღვანელი ნადია და კრება დაიწყო. შეუდგნენ კლასის მამასახლისის არჩევას. გამოირკვა, რომ იმ ვაჟთაგან, რომლებიც მეშვიდე „ბ“ კლასში იყვნენ ჩარიცხულნი, არცერთი არასდროს არ ყოფილყო მამასახლისად.

— ეს არაფერსაც არ ნიშნავს, — წარმოთქვა ნადიამ, — თუ არ იყავით, ახლა იქნებით. იქნება ის, ვისაც ავირჩევთ.

— მაშა კალაჩევა! — იმწამსვე წამოიყვირა სიმამ.

— კალაჩევა! — გაიმეორა რამდენიმე მისწავლებელმა.

— შორს! — გაიქნია ხელი დრანკინმა და გადატკეპნილი ქოჩორი ისევ აებუძგა.

— თუ ასე დაიწყებ ხმის მიცემას, კრებიდან გაგაძევებთ,— გააფრთხილა ნადიამ.

ანდრეი სვერჩკოვმა დაუმატა:

— იგი ხმას კი არ აძლევს — ხმაურობს.

— წინადადება შემომაქვს, რიბაკოვი! — თითქოს ნათქვამი ვერ გაიგონაო, თქვა დრანკინმა.

— მარტო ფეხბურთზე ირბენს!

— ჯერ მისი სამოანები გაბრძანოს დღიურიდან! — გაისმა ყოველი მხრიდან ვაჟების ხმა.

— წინადადება შემომაქვს: დრანკინი! — აიწია ხელი რიბაკოვმა.

ყველას გაეცინა.

— ბუგული და მამალი! — თქვა შურა ზიაბლიკოვამ. — ერთმანეთს აქებენ!

კრება თანდათან ცხარდებოდა. ხან ერთი სახელი გაიელვებდა, როგორც მაშხალა, ხან მეორე. პირველი გოგონა, რომელმაც ვაჟი დასახელა, შურა ზიაბლიკოვა იყო.

— ჩემი აზრით, კარგი მამასახლისი იქნებოდა ანდრეი სვერჩკოვი, რამდენადაც მე მას ვიცნობ...

— მართალია! მართალია! — დაიყვირა დრანკინმა და მაგიდაზე ხელები დააბრახუნა. თუმცა ანდრეი მისი არც თუ დიდი მეგობარი იყო, მაგრამ მაინც ყოველ გოგოს სჯობდა.

უეცრად კლავა სინკოვამაც წამოიყვირა და მანაც დააბრახუნა ხელებით.

— არა, არ არის სწორი! კალაჩევა ყოველთვის მამასახლისი იყო! ჩვენ არ გვინდა სხვა მამასახლისი!

და გაისმა ხმები. ერთნი დაჟინებით მოითხოვდნენ მაშა კალაჩევას, მეორენი კი — მათ შორის იყო ნინა რაკიტინაც — არ თვლიდნენ საჭიროდ მაშას მამასახლისობას. ახლა ანდრეი სვერჩკოვი იყოსო, შეიძლება იგი უფრო კარგი მამასახლისი იქნეს, ვინემ მაშა იყოო.

მაშა იჯდა ჩუმად, სახეალანძული, თავდახრილი...

— კენჭი ვუყაროთ, — თქვა ნადიამ.

ახლა კი მაშამ პირველად ითხოვა სიტყვა.

— არაა საჭირო ჩემთვის კენჭის ყრა. მამასახლისად უნდა იყოს ანდრეი სვერჩკოვი. მე უარს ვაცხადებ.

სიჩუმე ჩამოვარდა. გოგოებიდან ვიღაცამ გაკვირვებით ამოიოხრა.

— დიახ, ანდრეი სვერჩკოვი, — მტკიცედ გაიმეორა მაშამ, — იმიტომ, რომ მას... ჩემზე უკეთ ესმის, რა არის მეგობრობა.

და როდესაც ანდრეი სვერჩკოვს უყარეს კენჭი, მაშამ პირველმა ასწია ხელი.

ბავშვებო, ეს პატარა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო კლასში კოლექტივის ჩამოყალიბება, მიამბეს ჩემმა ნაცნობმა მოსწავლეებმა. მე კი მას თქვენ გიამბობთ, რადგან მინდა თქვენთან ერთად ვიფიქრო მეგობრობაზე.

ჩემი აზრით, მეგობრობა და ერთმანეთის პატივისცემა თავისთავად არ იქმნება. ამას უნდა მიაღწიო შენივე მოქცევით, ამხანაგებთან შენივე დამოკიდებულებით. პატივი ეცი სხვას, რათა სამაგიეროდ შენც გცენ პატივი; იყავ მომთხოვნი, უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის მიმართ, ხოლო შემდეგ — ამხანაგების მიმართ. ვფიქრობთ, რომ თვით დრანკინიც შეიგნებს ამას თავის დროზე, თუკი მის ირგვლივ მეგობრული კოლექტივი იქნება.

მე ასე მგონია. თქვენ კი როგორ ფიქრობთ, ბავშვებო?

თარგმანი მ. აგიაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერტილის სათხოვარი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

პატარა ვარ, ერთი ბეწო,
კალმის ერთი დადება,
მაგრამ მტანჯავს, — ვინც არ იცის
ჩემი სწორად ხმარება.

მოვა მძიმე, გამაწითლებს,
ან ძახილის ნიშანი
მეტყვის: «ყველგან რომ ეჩრები,
როგორ ვერ გამიცანი?«

და მაშინვე ჩემს ალაგას
დაესობა ფუნჯივით;
«აქ საჭირო ძახილია,
შენ კი ზიხარ მუნჯივით!»

კითხვის ნიშანს ნუღარ იტყვით,
აუტყდება ხარხარი,
შემომხედავს ალმაცერად;
დამეცემა თავზარი.

მაგრამ, როცა ჩემს ადგილას
ვზივარ გულდამშვიდებით,
მაშინ ყველა მესალმება
კრძალვითა და დიდებით.

და მეც რა ვქნა, ზოგიერთებს
მე ხომ არ გავეცნობი?
ჩემს ადგილას მძიმე დასვეს,
მე აქ დამსვეს შეცდომით.

არ იფიქროთ, ერთმანეთში
გვქონდეს რამე ცილობა;
ყველას თავის ადგილი გვაქვს,
დე გახსოვდეთ პირობა,

რომ თავიდან აგვაცილოთ
დავა გულისდამწველი
და ყველასთვის გასაგები
გახდეს თქვენი ნაწერიც.

ოთარ მერაბიშვილი

„საზღვაო ბრძოლა“

(ბ. ნეხოდერიდან)

ბოლო მერხზე ჩვეულებრივ
ხმაურია საკვირველი!
ჩურჩულებენ:
— ბ — მეორე!
— ა — მეექვსე!
— კ — პირველი!

ვიღას ახსოვს გაკვეთილი...
წესია და ადათია:

ზღვაზე ბრძოლა გაუმართავთ,
შეტევაზე გადადიან.

ერთ ფლოტს ზურა მეთაურობს —
გამოცდილი ადმირალი
და მეორეს ავთანდილი, —
მეზღვაური მადლიანი.
არვის ჰკლავენ, არც ძარცვავენ,
არ არიან მეკობრენი,
გემებს ფანქრით აფეთქებენ
მტრადქცეული მეგობრები.

ისმის სროლა. სადა თქმულა
მებრძოლების მიძინება!
ჰა, ქადალდზე, ზღვის ტალღებში,
კრეისერი იძირება
და ნაღმების მგრგვინავ ბათქით
ახლოვდება გამარჯვება...
მტრის დახატულ ხომალდთაგან
ვეღარც ერთი გადარჩება!

მაგრამ უცებ ქარიშხალი
ამოვარდა სატიალო...
და მოესმათ
ადმირალებს:
— დაფისაკენ, ადმირალნო!

კლდოვან ნაპირს შეენარცხნენ...
დრო ამაოდ გაიწირა!
— ჩქარა, ზურა, მომეშველე! —
ზურა უკვე ჩაიძირა...

თუ კი მტერთან საბრძოლველად
არ აირჩევს ადგილს მარჯვედ,
თვით მამაცი ადმირალიც
ვერასოდეს გაიმარჯვებს!

გურამ გოგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო წიგნის კვირეული

იუწყებოდნენ ქუჩაში გაკრული ლამაზი პლაკატები, ფართო ვიტრინები, ახალგაზრდული გაზეთები და რეპროდუქტორები, რომ მიმდინარეობდა ტრადიციული საბავშვო წიგნის კვირეული. გაზაფხული და მრავალი კარგი წიგნი ერთად შემოვიდა დედაქალაქის ქუჩებში.

ყველას, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, და განსაკუთრებით ბავშვებს უყვართ კარგი ლექსები, მოთხრობები, რომანები და პიესები. ისინი ჩვენი საყვარელი მეგობრები არიან. ბევრი გმირის სახელი ჩვენად გაგვიხდია, ბევრისათვის მიგვიბაძია... ვინ იცის, რამდენი ოცნება და სიხარული გვაკავშირებს მათთან!

რით გვხიბლავენ ასე, რით გვაყვარებენ თავს ეს უსულო, მაგრამ ცოცხალი და მეტყველი, აზრითა და განცდებით სავსე პატარა წიგნები?! იმით, რომ გვაცნობენ ცხოვრებას, გვამდიდრებენ არა მარტო ცოდნით, არამედ კარგი გემოვნებით, გვანიჭებენ უდიდეს სიამოვნებას, განგვაცდევინებენ გმირთა ბედნიერებასა თუ უბედობას, აღგვაფრთოვანებენ და ჩაგვაფიქრებენ.

ჩვენი მწერლები და მხატვრები ბავშვთა გულითადი მეგობრები არიან, ისინი ხშირად ხვდებიან თავიანთ ნორჩ მკითხველებს, გებულობენ მათ სურვილებსა და წარმტაცი, ლამაზად გაფორმებული წიგნებით ასწავლიან მათ სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავდადებას; უნერგავენ საბჭოთა ადამიანის კეთილშობილურ თვისებებს.

ამ ზრუნვისა და ამაგის პასუხად ჩვენი ნორჩი მკითხველები წიგნს დიდი სიყვარულით ეპყრობიან. მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა როდია ცუდი მკითხველის ხელში დასნეულებული წიგნი ჩვენს ბიბლიოთეკებსა და ოჯახებში. შევიძინოთ და გვქონდეს ბევრი წიგნი, გულდასმით წავიკითხოთ და გამოვიყენოთ წიგნები, გავუფრთხილდეთ მათ, ვიცოდეთ მათი ფასი,—აი რა მოგვეთხოვება ჩვენ, აი რას მოითხოვს ჩვენგან პატივისცემა გამოჩენილი საბჭოთა მწერლების, მეცნიერებისა და მხატვრებისადმი, პოლიგრაფიის მუშაკებისადმი, რომელთა მიერ შექმნილ ლამაზ წიგნებს არაერთხელ მოვუყვანივართ აღტაცებაში.

ჩვენს პიონერებს კარგი ტრადიცია აქვთ: ისინი დიდ ინტერესს იჩენენ წიგნის გამოცემისადმი მხატვრული გაფორმების საქმისადმი, აწყობენ ექსკურსიებს სტამბებსა და გამომცემლობებში. გარდა ამისა, პიონერები ეხმარებიან სასკოლო ბიბლიოთეკებს დაზიანებული წიგნების შეკეთებაში.

კარგია, აგრეთვე, რომ მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ ავტორებისადმი, ეცნობიან და სწავლობენ მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მართლაც და, რამდენი რამაა საინტერესო საყვარელი მწერლების მარკ ტვენის, არკადი გაიდარის, ლეო ქიაჩელის, ნინო ნაკაშიძისა და სხვათა ცხოვრებაში. მათი წიგნები და ცხოვრება ხალხისადმი უანგარო სამსახურის იშვიათი მაგალითია. ჩვენ ვსწავლობთ დაზიზრდებით ამ მაგალითზე.

გვახსოვდეს, რომ წიგნი მუდამ იყო და იქნება ცხოვრების მასწავლებელი, ჩვენი განუყრელი მეგობარი.

„მ ა მ ე ლ უ კ ი“

მწერალი კოდრატი დავითის-ძე თათარაშვილი, რომელიც უიარაღოს ფსევდონიმით მოღვაწეობდა, ფართო მკითხველისათვის ცნობილია უმთავრესად თავისი შესანიშნავი მოთხრობით „მამელუკი“.

მამელუკი არაბული სიტყვაა და ნაყიდ ტყვეს ნიშნავს. ამგვარი ნაყიდი ტყვეებისაგან აღმოსავლეთის ქვეყნებში მთელ არმიებს ქმნიდნენ. მათ შორის ბევრი იყო ქართველიც.

XVII—XVIII საუკუნეებში, როცა პოლიტიკურად და ეკონომიურად დაქვეითებული საქართველო წვრილ-წვრილ სამეფოებად და სამთავროებად იყო დაყოფილი, ტყვეებით ვაჭრობა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ცოცხალი ადამიანებით, ტყვეებით ვაჭრობდნენ ადგილობრივი ფეოდალები, ქართველი თავადები და აზნაურები.

ვინ იცის, რამდენი ქალვაჟი მოუწყვეტიათ ასე სამშობლოსაგან, გაუყიდიათ სადღაც შორს და სამუდამოდ დაუღუპავთ!

მოთხრობა „მამელუკი“ აგვიწერს ერთ-ერთი ასეთი ტყვედ გაყიდული ქართველი ბიჭის, ხვიჩას, თავგადასავალს. პატარა ხვიჩა სამწყემსურიდან მოიტაცეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ნონეშვილი — „სახლი გორკაში“

და ფოთში მიჰყიდეს უცხოეთიდან ჩამოსულ ვაჭრებს. აქედან იგი სხვა ტყვეებთან ერთად გემით წაიყვანეს და სტამბოლის ბაზარზე გაჰყიდეს.

შემდეგ ავტორი გვიჩვენებს ხვიჩა, როცა იგი ეგვიპტის მამელუკთა არმიის სახელოვანი სარდალი გახდა, მას ყველანი იცნობენ როგორც მახმუტ-ბიის. ამ დროს ეგვიპტეში შეიჭრა საფრანგეთის არმია ნაპოლეონ ბონაპარტეს სარდლობით. მამელუკთა და ფრანგთა შორის გამართული სისხლისმღვრელი შეტაკების დროს ბრძოლის ველზე ერთმანეთს შეხვდა ორი ქართველი: მახმუტ-ბია ანუ ხვიჩა და მასთან ერთად ტყვედ გაყიდული სალომესა და რეზოს შვილი, რომელიც საფრანგეთის არმიის ასისთავია. ბრძოლის ველზე ორივე დაეცა... და ავტორიც ასე ამთავრებს ამ ამაღელვებელ მოთხრობას:

„საზარელ ბრძოლის ველზე, ურიცხვ გვამთა შორის, ორი ერთმანეთს გადაჭდობილი გვამიც ეგდო, ერთს ძვირფასი არაბული ხალათი ეცვა, მეორეს — ვენეციელ გვარდიელის მუნდირი.

ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი.

ორთავენი ბედკრულ საქართველოს შვილები იყვნენ“.

ამ შესანიშნავ მოთხრობას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოიცა, ყველა დიდი ინტერესით წაიკითხავს.

ზურაბ ჭუმბურიძე

კომუნისტური პარტიის ბელადების, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლების ლენინისა და სტალინის ცხოვრება, მოღვაწეობა და საქმიანობა მთლიანად იყო მიმართული მშრომელი ხალხის კეთილდღეობისაკენ. მათი იდეებით ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი. ამიტომ არის, რომ ამ ადამიანების ცხოვრების ბიოგრაფიული მომენტები შთამაგონებელი გახდა მთელი პროგრესიული კაცობრიობის მწერლობისათვის. პოეტ იოსებ ნონეშვილის ლექსების წიგნში „სახლი გორკაში“ შესული ნაწარმოებების უმეტესი ნაწილი მიძღვნილია ლენინისა და სტალინისადმი.

ამ ლექსებში ნათელი პოეტური საღებავებით დახატულია ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ დიდ ადამიანთა სახეები.

პოემა „სახლი გორკაში“ აღწერს მოსკოვის მახლობლად მდებარე სოფელ გორკას და პატარა სახლს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი თვეები გაატარა დიდმა ლენინმა. ამ პოემის საშუალებით მკითხველი გაეცნობა და ნათლად წარმოიდგენს იმ ნივთებს, რომელთაც ლენინი შეხებია და რომლებიც ამჟამად მოთავსებულია სახლ-მუზეუმში. აქვე ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ ლენინს დიდი სტალინი და ცნობილი მწერალი მაქსიმ გორკი. სოფლის მახლობელ მიდამოებში ილიჩი სანადიროდ დადიოდა. აქვე ხვდებოდა იგი ბავშვებს, ეთამაშებოდა და ესაუბრებოდა მათ.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ სახლის დასათვალიერებლად მილიონობით მშრომელები დადიან ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან. პოეტი კარგად აღწერს იმ სურათს, თუ როგორ აწყობენ მახლობელი რაიონის პიონერები რაზმეულის შეკრებას სახლ-მუზეუმთან.

ნაწყვეტები პოემიდან „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ ეხება გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პარტიზან ქალიშვილს ზოია მათესასულ რუხაძეს, მისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ მომენტებს, თუ როგორ აღაფრთოვანებდა მას ბრძოლის დროს ზოია კოსმოდემიანსკაიას გმირული მაგალითები და მისი უკვდავი სახე:

„და იმ ზოიას ხედავს ზოია,
ვინც თავის გზაზე
გაიყოლია;
ისეთი, როგორც
სურათში ნახა,
ესაუბრება კუთხიდან „ახლა“.

პოეტი უმღერის ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის საუკეთესო ადამიანებს, რომლებმაც თავი ისახელეს სწავლით, შრომითა და გმირობით. ესენი არიან: კრასნოდონელი გმირი ოლეგ კოშევოი, ციმბირელი მონადირე გოგონა ულიანა ბაბინა, ბორის ხახლოვი, ნელსონ სტეფანიანი და სხვ. რომელთა საბრძოლო მაგალითებიც აღმაფრთოვანებელი არიან ჩვენი ნორჩი თაობისათვის.

იოსებ ნონეშვილის ლექსების წიგნი „სახლი გორკაში“, რომელიც ახლახან გამოსცა „საბლიტგამმა“, ძვირფასი საჩუქარია მოზარდი თაობისათვის.

ბაკურ ბახტურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ახალი ამბები

პიონერთა სახლი დუშეთი

1954 წლის მაისის თვეში დუშეთის პიონერებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: გაიხსნა პიონერთა სახლი.

ამოძრავდა პიონერული აქტივი, შეიქმნა წრეები; ამუშავდნენ ნორჩი ნატურალისტები, ნორჩი ქიმიკოსები, ფოტოსაქმის მოყვარულები.



შედიხართ პიონერთა სასახლეში და თვალს იტაცებს შესანიშნავი ნამუშევრები.

აი, პიონერული ბიგი. იქვე ხელოვნურად მოწყობილია კოცონი. ელექტროჩამრთველს ჩართავთ თუ არა, თქვენს წინ ლამაზი სანახაობა იშლება: „გიზგიზებს“ პიონერული კოცონი, იწვიან შეშის ხმელი ღეროები, ხის პატარა ტოტები.

სტენდის თავზე ოქროსფერი ასოებით წერია: „კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“

აგერ, მთის ფერდობს შეჰფენია ცხვარი. მოხუცი მწყემსი, რომელსაც, ალბათ, სიცოცხლის ნახევარი ცხვარში გაუტარებია, ჯოხზე დაყრდნობილი გაჰყურებს სივრცეს, მთების მწვერვალებს. მადიანად სძოვს ცხვარი. იქვე ახალგაზრდა მწყემსი გატაცებით უკრავს სალამურს.

ასეთია თემა მაკეტისა, რომელიც ხევსურმა პიონერმა ალექსი ქისტაურმა დაამზადა.

რა დიდი სიყვარულით ძერწავენ პიონერები მათთვის საანტრელ კომკავშირის სამკერდე ნიშანს. პიონერის სამკერდე ნიშანი უკვე გამოუძერწიათ ნანი ედიგარაშვილს, ნატო გულიევას და ავთანდილ კერესელიძეს.

მასობრივი მუშაობის ხელმძღვანელი იზოლდა ზაქაიძე მთელ დროს ბავშვებთან ატარებს. ის პიონერების მეგობარი და დამხმარეა. ხშირად აკითხავენ მას პიონერები, მუდამ მის გარშემო ტრიალებენ და საინტერესო შეკითხვებს არ აკლებენ.

შინაარსიანი და სასიხარულოა აქ ბავშვთა ცხოვრება. მათ სწავლის, შრომისა და გართობის ყოველგვარი პირობები აქვთ.

ბ. ბედოშვილი.

საქალაქო დათვალიერება

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ჩატარდა პიონერული კედლის გაზეთების და ალბომების საქალაქო დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, გარეუბნის — ნორიოს, ავჭალის, კოჯრის, კუმისისა და გლდანის სკოლებმა და საბავშვო სახლებმა.

დიდმა დარბაზმა, სადაც თავმოყრილი იყო ოთხასამდე კედლის გაზეთი და ალბომი, ბევრი მნახველი მიიზიდა.

მიმზიდველად გაფორმებული გაზეთები და ალბომები, მრავალფეროვანი, შინაარსიანი წერილები, — პიონერების სერიოზულ მუშაობაზე მეტყველებენ.

საერთო მოწონება დაიმსახურა ნორიოს საშუალო სკოლის ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის მე-14 პიონერული რაზმეულის სპეციალურმა ნომერმა „75 წელი სტალინის დაბადებიდან“, (რედაქტორი ლ. მამნიაშვილი).

ასევე კარგი იყო თბილისის მე-17 საშუალო სკოლის კულიშოვის სახელობის მე-6 რაზმეულის ორგანო „ბრწყინვალე მომავალი“ № 1. (რედაქტორი გაგუა).

კარგად გაფორმებული, შინაარსიანი გაზეთია „Голос Пионера“ კოჯრის № 3 საბავშვო სახლის რაზმეულის ორგანო (რედაქტორი მ. კონონოვა).

ალბომებიდან აღსანიშნავია თბილისის 48-ე, 46-ე საშუალო სკოლების რაზმეულის ალბომები და თბილისის პირველი საშუალო სკოლის მე-14 რაზმის ალბომი.

რედაქტორები და რაზმეულის საბჭოები დაჯილდოვდნენ მხატვრული ლიტერატურით და წასახალისებელი ფურცლებით.

კინო სკოლაში

ეკრანზე გამოჩნდა შავი ზღვის აზვირთებული ტალღები, ყირიმის თვალწარმტაცი ბუნება და მათ ფონზე გენიალური პოეტი ალექსანდრე პუშკინი — თმახუჭუჭა, მოძრავი, ასე ცოცხალი და მახლობელი. ბავშვები სულგანაბული მიჩერებიან ეკრანს, იქერენ ყოველ მოძრაობას, ყურს უგდებენ სიტყვებს და ცდილობენ მოიგონონ, სად წაუკითხავთ ეს. მასწავლებლის საუბარს, შინაარსიან გაკვეთილს უფრო აღრმავებს და ნათელს ხდის კინოსურათი.

ქუთაისის სასწავლო კინობაზა უთუოდ კარგ საქმეს აკეთებს, როდესაც დახმარებას უწევს რაიონის სკოლებს ვიწრო აფსკიანი კინოაპარატების მოწყობაში.

მაიაკოვსკის რაიონში ვ. მაიაკოვსკის და ე. ნინოშვილის სახელობის სკოლებში გაკვეთილის თვალსაჩინოებითი დემონსტრაცია მოახდინეს კინოს საშუალებით. ნაჩვენები იყო „პუშკინი სამხრეთში“, „მიწისქვეშა წყლები“, „რადიოლოკაცია“ და სხვ.

მოსწავლეებს გეგმიანად შერჩეული კინოსურათები ხელს უწყობს გაკვეთილის შეთვისებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ ყველაფერზე

უცნაური პაციენტი

ამ რამდენიმე წლის წინათ ლენინგრადში გემით ჩამოიყვანეს მისისიპის ალიგატორთა ჯიშის ნიანგი. იგი მაშინ რამდენიმე თვის იყო და პატარა ხვლიკს წაგავდა. საინტერესოა, რომ ამ ჯიშის ნიანგი, რომელიც მოზრდილობაში ოთხნახევარ მეტრს აღწევს, ბატის კვერცხის ოდენა კვერცხიდან იჩეკება.

ერთხელ ნიანგმა ჭამის მადა დაჰკარგა. აღმოჩნდა, რომ კბილი სტკიოდა. ზოოპარკის ვეტერინარს მოუხდა კბილის ექიმის მოვალეობა შეესრულებინა. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. პაციენტი საკმაოდ ჯიუტი აღმოჩნდა. იგი გათოკეს და დაღებულ ხახაში მსხვილი ჯოხი ჩაუდეს. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა კბილის ამოძრობა.



გარკვეულ ვადაში ნიანგები კბილებს იცვლიან, ისევე როგორც გველი იცვლის კანს. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ნიანგი ასზე მეტ წელიწადს ცხოვრობს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენს პაციენტსაც მალე ამოუვა კბილი.

მეტეორიტი

1908 წლის 30 ივნისს ციმბირში შეამჩნიეს საინტერესო მოვლენა. განთიადისას ცაზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მეტეორიტმა გადაიქროლა. იგი ისე ანათებდა, რომ 700 კმ-ზე ირკუტსკში შეიძლებოდა წიგნის წაკითხვა, როგორც დღისით. ქროლვის დროს, რომელიც 7 სეკუნდს გაგრძელდა, მეტეორიტის ფერი იცვლებოდა. პირველად ის იყო ლურჯი, შემდეგ თეთრი, ბოლოს წითელი. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ვარდნის სიჩქარე თანდათან მცირდებოდა. როდესაც მეტეორიტი ტაიგაში ჩამოვარდა, 700—1200 კილომეტრზე ისმოდა აფეთქების ხმა.

20 წლის შემდეგ საბჭოთა მეცნიერის კულიკის ექსპედიციამ აღმოაჩინა ადგილი, სადაც მეტეორიტი ჩამოვარდა: ვეებერთელა, ულრანი ტყე 60 კილომეტრის დიამეტრით განადგურებული იყო.

მეტეორიტის ვერავითარი ნარჩენები ვერ იპოვეს.

საბჭოთა მეცნიერება ამას შემდეგნაირად ხსნის: როდესაც მეტეორიტი ატმოსფეროში მოხვდება, დარტყმისა და სიჩქარის გამო იგი მტვრად იქცევა. ამიტომ მეტეორიტების უმრავლესობა დედამიწამდე ვერ აღწევს. მხოლოდ დიდი მეტეორიტები ინარჩუნებენ ნაწილს თავისი მასისა და ეცემიან დედამიწაზე. დაცემის დროს იქმნება ძალზე მაღალი ტემპერატურა და მთელი მეტეორიტი გარდაიქმნება გაზად, რომელიც დაუყოვნებლივ ფეთქდება.

მანგუსტი

ტაილანდში მდინარის ნაპირებზე, ტყეებსა და პლანტაციებში ცხოვრობს პატარა ცხოველი მანგუსტი, რომლის ცილინდრული ფორმის სხეული ნახევარ მეტრს აღწევს. მას ხშირი და უხეში რუხი ფერის ბეწვი აქვს, რომელსაც ვერცხლისფერი გადაჰკრავს. ეს ცხოველი ნაყოფით და წვრილი ცხოველებით იკვებება.

მანგუსტი მკვირცხლად დახტის ქვიდან ქვაზე და ყოველ ხვრელში ხვლიკს, გველსა და თაგვს ეძებს.

ტაილანდში და სხვა სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში, სადაც კი მანგუსტი ბინადრობს, გველის უშიშარი გამანადგურებლის სახელი აქვს განთქმული. გასულ საუკუნეში მანგუსტი სპეციალურად ჩამოიყვანეს სანტა-ლუჩიას კუნძულზე (ვესტ-ინდოეთი) ადამიანისათვის საშიშ შუბისთავა გველის გასანადგურებლად. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ეს ცხოველი შემოიყვანეს კუნძულ იავაზე ვირთაგვების მოსასპობად.

ტაილანდელებს კატის მაგივრად ჰყავთ სახლებში მანგუსტი. იგი ადამიანს სწრაფად ეჩვევა. მანგუსტს ხელით აჭმევენ და ისიც ძაღლივით უკან დასდევს პატრონს.

მეფისეული ქარიყლაპია

ცარიცინში მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს გუბურების წმენდის დროს იპოვეს ვეებერთელა ქარიყლაპია. მას ორი მეტრი სიგრძე ჰქონდა და სამოც კილოგრამზე მეტს იწონიდა; ლაყუჩებში გაყრილი ჰქონდა ლორწოთი დაფარული, მომწვანო რგოლი. როდესაც რგოლი გაწმინდეს, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ოქროს ბეჭედი. ზედ ეწერა: «შეაბა მეფე ბორის თედორეს-ძემ».

ქარიყლაპია წყალში ჩაუშვია ბორის გოდუნოვს და მან ორასი წელიწადი იცოცხლა.

„პალმა—სპილოს ძვალი"

პანამაში, კოლუმბიასა და ეკვადორში იზრდება—საშუალო ზომის პალმა ტაგუა. მეცნიერებაში იგი ცნობილია «ფიტელეპას—მაკროკარპას» სახელწოდებით. მკვრივი თესლის გამო კიდევ უწოდებენ «პალმა—სპილოს ძვალს.»

ტაგუა ცხოვრობს ას წლამდე. ნაყოფსაც გამუდმებით იძლევა, მისი დიდი კაკლების ზედაპირი ხაოიანია, რომელიც ათ კილოგრამზე მეტს იწონის. კაკალში რამდენიმე უჯრედია, თითოეულ უჯრედში კი 6—9-მდე თესლი.

თესლიდან ამზადებენ ღილებს და მძივებს, რომლებიც გამძლეობით სპილოს ძვალს არ ჩამოუვარდება. პალმის ღეროც ძვირფასია, საიდანაც პარკეტის ფიცრებს ამზადებენ. ტაგუას ბოჭკოებიდან თოკები კეთდება, მისი დიდი ფოთლებიდან კი—ჯაგრისები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

თ. გიორგაძის რედაქციით

იშვიათი პარტია

ცნობილია, რომ როცა პაიკი მიაღწევს უკანასკნელ ჰორიზონტალს, შესაძლებელი ხდება რომელიმე ფიგურის გაცოცხლება. უფრო ხშირად მოჭადრაკეები აცოცხლებენ ყველაზე ძლიერ ფიგურას—ლაზიერს. პარტიაში მოჭადრაკეს შეუძლია გააცოცხლოს იმდენი ლაზიერი, რამდენი პაიკიც აქვს, ე. ი. რვა ლაზიერი. მაგრამ, როგორც საჭადრაკო პრაქტიკა ცხადყოფს, ოსტატთა სერიოზულ, სატურნირო პარტიებში ორზე მეტი ლაზიერის გაცოცხლება მეტად იშვიათი შემთხვევაა. ჭადრაკის ისტორიაში მოიპოვება მხოლოდ ერთი პარტია, რომელშიაც ერთდროულად ხუთი ლაზიერი მონაწილეობდა. აი ეს პარტია, რომელშიც თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი ა. ალიოხინი თამაშობს.

1. e4e6 2. d4d5 3. ᲛᲒᲛ3 ᲛᲒᲛ6 4. ᲙᲒ5 ᲙᲑ4 (ამ დასაწყისს ფრანგულ დაცვას უწოდებენ) **5. e5h6 6. ef** (ალიოხინი ირჩევს გენიალურ რუს მოჭადრაკის მ. ჩიგორინის თამაშის სისტემას, რომელიც წარმოშობს კომბინაციებით აღსავსე პოზიციებს) **6 ...hg 7. tg ეg8 8. h4! gh 9. ლg4ᲙᲔ7?** (უკეთესი იყო **9...ლf6 10. ე:h4 ლ:g7 11. ლ: g7ეg7 12. ე:h8+ᲙᲗ8** რთული თამაშით) **10. g3!c5 11. ghcd 12. h5!** (ალიოხინი სწირავს მხედარს და პაიკი ლაზიერში გაჭყავს) **12...dc 13. h6 cb 14. ე b 1 ლ a 5+15. ᲛᲤᲔ 2ლ:a2 16. h7 ლ:b1 17. h gლ+ᲛᲤd7 18. ლ:t7ლ c2+19. ᲛᲤf3 ᲛᲒc6! 20. ლf:e6+ ᲛᲤc7 21. ლf4+ᲛᲤᲑ6 22. ლe3 +ᲙᲒ5 23. g8ლ b1ლ**



აი ეს „ფანტასტიკური“ პოზიცია ხუთი ლაზიერით. ალიოხინმა ამ მდგომარეობაში გაიმარჯვა **24. ეh6!!**-ით, რადგან ძლიერია მუქარა **25. ლd8×.** თუ **24. ...ლ:t 1, მაშინ 25. ლb4+ლb5 26. ლd8+ᲛᲤᲐ6 27. ლ a 3+**გარდუვალი შამათით.

შინაარსი

	გვ.
ნიკოლოზ ვერეტენიკოვი — ვალოდია ულიანოვი (მოგონებანი ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე კოკუშკინოში. დასასრული)	1
ლ. მელვინეთუხუცესი — ერთ პიონერულ შეკრებაზე (ნარკვევი)	5
მურმან ძველაია — ლენინის ძეგლთან (ლექსი)	7
ოთარ შალამბერიძე — ლენინი და ბავშვები (ლექსი)	7
ოთარ ჩიჯავაძე — ზვიგენის კბილი (მოთხრობა, დასასრული)	8
ბერი და მოსწავლე — (ჩინური ზღაპარი)	11
აკაკი სურგულაძე — 1905 (წერილი რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავის შესახებ)	12
ვლადიმერ მაიაკოვსკი — სიმღერა საბჭოთა პასპორტზე (ლექსი)	15
დიმიტრი ქუმსიშვილი — ბურბუშელა (მოთხრობა)	16
ოვანეს თუმანიანი — გაზაფხულის ძახილი (ლექსი)	18
მედეა კახიძე — შევრიგდეთ! (ლექსი)	18
ჰანს ქრისტიან ანდერსენი — ხტუნიები (ზღაპარი)	19
ციცინო მესტიაშვილი — გატეხილი სატევარი (მოთხრობა)	21
ლ. ვორონკოვა — კლასის მამასახლისი (მოთხრობა)	25
ჭინჭარი — იუმორის განყოფილება: 1. წერტილის სათხოვარი, — ლექსი ოთარ მერაბიშვილისა, 2. „საზღვაო ბრძოლა“ — ლექსი გურამ გოგიაშვილისა	27
საბავშვო წიგნის კვირეული	28
ზურაბ ჭუმბურიძე — „მამელუკი“ (წერილი)	28
ბ. ბახტურიძე — ი. ნონეშვილი — „სახლი გორკაში“ (წერილი)	29
პიონერული ახალი ამბები	30
მოკლედ ყველაფერზე	31
ჭადრაკი	32
გასართობი (გარეკანის)	3

გარეკანის პირველ გვერდზე — სახლი ულიანოვსკში, სადაც ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი 1878 წლიდან 1887 წლამდე — ნახატი ვახტანგ ჯაფარიძისა. გარეკანის მეორე გვერდზე — ვ. ი. ლენინი ბავშვებთან, გორკაში—ფოტორეპროდუქცია ა. სუვოროვას ნახატიდან. გარეკანის მეოთხე გვერდზე - „გაზაფხულდა“ — ნახატი თ. ასიტაშვილისა.

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თბილელი, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამეცნიერო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ქელეძე.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. апрель № 4, 1955. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

უე 00598 ტირაჟი 15.000 ხელმოწ. დასაბ. 12/III გამომც. შეკვ. № 88 სტამბის შეკვ. № 441. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ

3. ქიმიური შენაერთი. 5. მდინარე დასავლეთ საქართველოში. 9. ცნობილი მერიდიანი. 10. თხრილი. 11. საღებავის სახე. 14. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი. 15. მარცვლოვანი კულტურა. 16. სააღმშენებლო მასალა. 20. ქიმიური ელემენტი. 21. მტაცებელი ფრინველი. 22. ჰაერის სწრაფი მოძრაობა. 23. ქალაქი ჩინეთში. 25. განთიადი. 26. ცნობილი ქართული გაზეთი მე-19 საუკუნეში. 28 სამკურნალო მცენარე. 33. საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. 34. ტბა საქართველოში. 35. მეტალი. 36. სახელმწიფო ევროპაში. 37. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში.

ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ

1. შინაური ცხოველი. 2. პიონერთა ბანაკი შავი ზღვის სანაპიროზე. 4. ციტრუსოვანი მცენარე. 6. მდინარე აფრიკაში. 7. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი. 8. სრუტე ბალტიის ზღვაში. 12. ძველი სახელმწიფო. 13. გამოჩენილი საბჭოთა პიანისტი. 16. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 17. თვე. 18. ხე. 19. სახელმწიფო აზიაში. 24. ქალაქი ინგლისში. 26. რუსეთის მხარე. 29. რძის ნაწარმი. 30. სანახაობითი დაწესებულება. 31. კაცის ბერძნული სახელი. 32. ხილი.

შეადგინა **ნ. ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ**

ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

მოცემული 20 ნაწილი დაალაგეთ ისე, რომ მიიღოთ კვადრატი.



შეადგინა **გ. ᲗᲐᲠᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲨᲐ**

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ“ № 3-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲖᲔ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲖᲔ „ᲛᲔᲬᲘᲜᲐᲫᲕᲘᲚᲘᲡ ᲢᲝᲛᲠᲔᲑᲘ“

I×II=III. IV×V=III.
2×78=156. 39×4=156.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲖᲔ „ᲕᲘᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘᲐ“

ნახაზზე ნაჩვენებია, თუ სიგანეზე და სიგრძეზე მეოთხედი ნაწილის ჩამოჭრის შემდეგ როგორ უნდა გავჭრათ A ფურცელი ორ ისეთ თანასწორ ნაწილად, რომ Б ფურცლის სიბრტყეს ზუსტად დაემთხვეს, ან პირიქით, როგორ უნდა გავჭრათ Б ფურცელი ორ ისეთ თანაბარ ნაწილად, რომ ზუსტად დაემთხვეს A ფურცლის სიბრტყეს.



ფასი 2 მან.

5·249/35

ეროვნული ბიბლიოთეკა